დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს სკოლა ეისი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

გიორგი მომცელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე)

წევრები:

თამთა კვარაცხელია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
მანანა სამხარაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ნინო გავაშელი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); **ქეთევანი ბერუაშვილი** (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ელიზა კუკავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ლელა კვირტია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს სკოლა ეისი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	417885649

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გორი
ფაქტობრივი მისამართი	ბესიკის ქუჩა № 5
საფოსტო ინდექსი	1400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://www.acschool.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	acschool15@gmail.com marika_ed@yahoo.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	(370) 272027
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერი	599708802

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 8 26 0001230658, 15/09/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 01 და 02 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული	ქ. გორი, ბესიკის N5
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	ქართული	ქ. გორი, ბესიკის N5
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.	საშუალო	ქართული	ქ. გორი, ბესიკის N5

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2026 წლის 01 და 02 ოქტომბერს ქალაქ გორში მდებარე შპს სკოლა ეისიში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა, ვიზიტის წარმართვისთვის, შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა, ჩაეტარებინათ ინტერვიუები.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს ზოგიერთი საკითხი. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
150	**132**	***150***

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლას აქვს მშობლებთან ურთიერთობის კარგი პრაქტიკა. მშობლები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. სკოლა სხვადასხვა ფორმით (პირისპირ შეხვედრები. ელექტრონული გამოკითხვები) ადგენს მათ მოსაზრებებს, იდეებს სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესების მიმართულებით, აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლამ წარმოადგინა მშობლებთან აქტიური თანამშრომლობის ამსახველი დოკუმენტები, გარდა ამისა, ექსპერტების მშობლებთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა მათი კმაყოფილება სკოლის საქმიანობის მიმართ.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 150	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	სკოლამ ვერ წარმოადგინა მიწერილობა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.4.	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას*	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ვადებში (15/10/2026 – 15/10/2027) უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიციური ექიმის აყვანა.
ინდიკატორი N 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ვადებში (01/10/2026 – 01/10/2027) უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.
ინდიკატორი N 3.4.1.2.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ვადებში (15/10/2026 – 15/10/2027) უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიციური ექიმის აყვანა.

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N 3. 5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ვადებში (15/10/2026 – 15/10/2027) უზრუნველყოს შენობაში ეტლით მოსარგებლე პირებისთვის, მათ შორის ლაბორატორიებსა და სხვა მნიშვნელოვან სივრცეებში გადაადგილების ხელმისაწვდომობა.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* ***საბაზო, საშუალო***	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ვადებში (15/10/2026 – 15/10/2027) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში სპეციალური ზედაპირის მქონე სადემონსტრაციო მაგიდის არსებობა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*რჩევა*
3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*სასურველია, სკოლამ დადოს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პროგრამა*	*რჩევა*
2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *სასურველია* ***:დაწყებით საფეხურის ბუნებისმეტყველების*** *მე-2 კლასის კურიკულუმის თემაში „ხმელეთი, როგორც გარემო“ და მე-4 კლასის თემაში ციკლური მოვლენები გაიწეროს კონტექსტმაგალითები, შემოქმედებითი დავალების იდეა და მაგალითები შედარებისათვის ასევე მე-5 კლასში თემაში „კოსმოსი „ და მე-6 კლასის თემაში „ნარევები და ნაერთები“* **უცხოური ენები:** სასურველია გადაიხედოს უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმების ფორმა და ყველა საგნისათვის შემუშავდეს ერთი და იგივე . **სახელმწიფო ენა:** სასურველია, დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში დაიხვეწოს ,,საკითხის“ და ,,დავალების პირობის“ გრაფა. საგნობრივი ჯგუფი I-IV კლასების ფარგლებში შეთანხმდეს კურიკულუმის ერთიან დიზაინზე. კურიკულუმში შესაბამისი გრაფა დაასათაუროს, როგორც ,,დავალების იდეა“, ,,დავალების პირობა“ ან ,,შუალედური მიზანი“ . **ტექნოლოგიები:** სასურველია, თემა და ცნება მკვეთრად გაიმიჯნოს, სამიზნე ცნება და ქვეცნება მკაფიოდ განისაზღვროს, საგნის ძირითადი მიმართულებების და დავალების პირობის სრულად აისახოს. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი:** სასურველია პირველი კლასის ბუნებისმეტყველების, ქართული ენისა და მათემატიკის კურიკულუმში გასწორდეს სამიზნე ცნებები, გასწორდეს სავალდებულო თემების რაოდენობა და დასახელება.

2.1.2.2.	მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავდეს ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოს სტრუქტურასთან, მათ შორის, შუალედური მიზნის ფორმულირებასთან დაკავშირებით.*
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***უცხოური ენები:*** სასურველია ყველა საგნის კურიკულუმში მითითებული იყოს სასწავლო რესურსი, მაგალითად, თუ ვიყენებთ ძირითად რესურსს/წიგნს, მიეთითოს გვერდი და არ დარჩეს თავისუფალი. ***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი:*** სასურველია, სკოლის დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე. მკაფიოდ აისახოს მარტივი რეალური ან/და ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განისაზღროს დასახელება, სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო) და ნუმერაცია.
2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი:*** დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის საგნების შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.

2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *სასურველია დაწყებითი საფეხურის პროგრამაში სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად შემუშავდეს საბუნებისმეტყველო საგნებისათვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები* ***უცხოური ენები:*** სასურველია, კურიკულუმებში, რომლებშიც არ არის შეფასების კრიტერიუმები დაკონკრეტებული, გადაიხედოს და გამოიკვეთოს დეტალურად, რათა უფრო ცხადი გახდეს მოსწავლისათვის კონკრეტული მიზნის მიღწევა რა კრიტერიუმით განისაზღვრება. ***ესთეტიკური აღზრდა:*** სასურველია კარგად დამუშავდეს დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ჩანდეს ორიენტაცია კონკრეტული საფეხურის(დაწყებითი)ცნებებსა და ქვეცნებებზე.ეხება მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმებს). **სახელმწიფო ენა:** სასურველია, შეფასების რუბრიკებში უფრო მკაფიოდ გამოკვეთოს, რომელ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს მიემართება შეფასება. I -IV კლასებში განმავითარებელი შეფასების, ხოლო V-VI კლასების დონეზე, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი. ორივე ტიპის შეფასების რუბრიკა კონკრეტულ შუალედურ მიზანსა და კონტექსტმაგალითებზე უნდა იყოს მორგებული. ამ კუთხით სკოლამ აქტური მუშაობა უნდა გააგრძელოს. **ტექნოლოგიები:** სასურველია, თითოეულ თემას ახლდეს ერთი მთავარი, პროექტული ტიპის დავალება, რომელიც მოსწავლისგან მოითხოვს კონკრეტული პროდუქტის შექმნას.

		ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი: სასურველია, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის საგნებისათვის სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მოამზადონ დაწყებითი საფეხურის შერჩეული თემების ან/და საკითხების/ქვესაკითხების მიმართებით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის საგნებისთვის შეიქმნას შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები, ორიენტირებული იქნება საგნის სამიზნე ცნებებზე.
2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი:** სასურველია დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შეივსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსებით, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა, აგრეთვე, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა.
2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი: სასურველია*** სკოლამ ან კათედრამ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შეიმუშაოს უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ, რათა მოხდეს პრობლემის დროულად იდენტიფიცირება და გაუმჯობესება.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის პროგრამა*	*რჩევა*
2.1.2.1	*შემუშავებულიკურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები :*** *<u>საბაზო საფეხურზე</u> ყველა საგნის კურიკულუმში უნდა იყოს კონტექსტ მაგალითები, შემოქმედებითი დავალების იდეა და მაგალითები შედარებისათვის,* ***_ქიმიაში*** *მე-8 კლასში ყველა თემაში „წყალი“ „ხსნარები“,* ***ბიოლოგიაში*** *მე- 8 კლასის თემებში “ ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა“, „ნივთიერების მიმოცვლა და ტრანსპორტი“ მე-9 კლასის რეპროდუქციული სისტემა, სახეობა და პოპულაცია“* ***ფიზიკა*** *მე-7 კლასი- სვეტში, მაგალითები შედარებისთვის სასურველია იყოს მოკლე, საკითხის გააზრებისთვის საჭირო და არა კითხვები, როგორც არის. მე-6 სვეტში გასასწორებელია ინგლისური შრიფტი. მე-8 კლასის კურიკულუმი ვერ ფარავს ცნებას „ „მოძრაობა და ცვლილება“. როგორც მე-8 , ისე მე-9 კლასისს აკლია სვეტი - მაგალითები შედარებისთვის.* უცხოური ენები: სასურველია გადაიხედოს უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმების ფორმა და ყველა საგნისათვის შემუშავდეს ერთი და იგივე . სახელმწიფო ენა:.*საბაზო საფეხურის მასწავლებლებს ვურჩევთ: 2026-2027 სასწავლო წლისთვის გააგრძელოს კურიკულუმის დახვეწაზე მუშაობა. კურიკულუმის პირველადი ვერსიები სახელმძღვანელოს*

		სარჩევის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სასურველია, სახელმწიფო ენის კურიკულუმებში გრაფის სახელწოდება ,,კომპლექსური ბუნების დავალება“ შეიცვალოს ტერმინით **შუალედური მიზანი.** საბაზო საფეხურზე ნათლად გამოკვეთოს შემდეგი მოთხოვნები: სამიზნე ცნებები, თემატური ბლოკი, სავალდებულო ნაწარმოებების შესწავლის საკითხი. კონტექსტმაგალითების გრაფაში ძირითად კონტექსტმაგალითად ხშირ შემთხვევაში ჩამოწერილია 5-4 ნაწარმოები, რაც არარელევანტურია. ძირითადი კონტექსტმაგალითი უმეტესად არის ერთი ნაწარმოები, რომელსაც უშუალოდ ეფუძნება დავალება. დავალების პირობაში მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს სამიზნე ცნება/ცნებები. სასურველია, კურიკულუმში თემატური ბლოკების მიხედვით გაიფილტროს სამიზნე ცნენები და დარჩეს მხოლოდ ის გრძელვადიანი მიზნები, რომელსაც რეალურად ფარავს დავალება.
2.1.2.2.	მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავდეს ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოს სტრუქტურასთან, მათ შორის, შუალედური მიზნის ფორმულირებასთან დაკავშირებით.*
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***უცხოური ენები:*** სასურველია ყველა საგნის კურიკულუმში მითითებული იყოს სასწავლო რესურსი, მაგალითად, თუ ვიყენებთ ძირითად რესურსს/ წიგნს, მიეთითოს გვერდი , არ დარჩეს თავისუფალი სვეტი.

2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *საბაზო საფეხურის ბუნებისმეტყველების (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საგნების შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.*
2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *სასურველია, საბაზო საფეხურის პროგრამაში სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მოამზადონ საბუნებისმეტყველო, ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის საგნებისათვის შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან ან ქვესაკითხებთან მიმართებით სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი - კონკრეტული შემოქმედებითი ბუნების დავალება ან/და სასწავლო პროექტი, აგრეთვე, სრულად მოამზადონ ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; საბაზო საფეხურის პროგრამაში ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საგნებისათვის შექმნან შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, რომელშიც შეფასების კრიტერიუმები ორიენტირებული იქნება საბაზო და საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო - ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის საგნების სამიზნე ცნებებზე.*

		უცხოური ენები: კურიკულუმებში, სადაც არ არის შეფასების კრიტერიუმები დაკონკრეტებული, გადაიხედოს და გამოიკვეთოს დეტალურად, რათა უფრო ცხადი გახდეს მოსწავლისათვის კონკრეტული მიზნის მიღწევა რა კრიტერიუმით განისაზღვრება. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, საგნობრივმა ჯგუფმა საბაზო საფეხურზე დახვეწოს როგორც განმავითარებელი, ასევე, განმსაზღვრელი და შემაჯამებელი სამუშაოების შეფასების რუბრიკები: უნდა დააკონკრეტოს შუალედური მიზნის, კონკრეტული ნაბიჯ-კრიტერიუმებისა და შესასწავლი სავალდებულო ნაწარმოებების მიხედვით. ***სპორტი:*** სასურველია. საბაზო საფეხურზე შეფასების რუბრიკები შეადგინონ კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის მიხედვით.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის პროგრამა*	*რჩევა*
2.1.2.1	*შემუშავებულიკურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები : საშუალო საფეხურზე* **ქიმია** *მე-11 კლასი თემაში „არაორგანული ნაერთების მნიშვნელოვანი წარმომადგენლები დასამატებელია შუალედური დავალება რაიმე ფორმით. მე-12 კლასში შუალედურ დავალებად „მსჯელობა ზეპირი*

		ფორმით“ვერ იქნება შეფასებული კრიტერიუმების გარეშე , რომელიც უნდა იყოს წარმოდგენილი ***ფიზიკა*** *მე-10 და მე-11 კლასის კურიკულუმებში შესავსების სვეტი მაგალითები შედარებისთვის, მე-11 კლსში დასამატებელია სავალდებულო თემა „რხევები და ტალღები“. მე-12 კლასის კურიკულუმსი ჩასასწორებელია კლასი (წერია* უცხოური ენები: სასურველია გადაიხედოს უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმების ფორმა და ყველა საგნისათვის შემუშავდეს ერთი და იგივე .
2.1.2.2.	მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავდეს ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოს სტრუქტურასთან, მათ შორის, შუალედური მიზნის ფორმულირებასთან დაკავშირებით.*
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***უცხოური ენები:*** სასურველია ყველა საგნის კურიკულუმში მითითებული იყოს სასწავლო რესურსი, მაგალითად, თუ იყენებთ ძირითად რესურსს/ წიგნს, მიეთითოს გვერდი და არ დარჩეს თავისუფალი სვეტი ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** საშუალო საფეხურის ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის მე-10, მე-11 კლასების კურიკულუმებში; სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, მკაფიოდ აისახოს რეალური ან/და, ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განსაზღვრონ დასახელება, მისი

		სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო საშინაო და სხვა) და ნუმერაცია.
2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *საშუალო საფეხურის ბუნებისმეტყველების (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საგნების შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.*
2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** სასურველია, *საშუალო საფეხურის პროგრამაში სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მოამზადონ საბუნებისმეტყველო, ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის საგნებისათვის შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან ან ქვესაკითხებთან მიმართებით სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი - კონკრეტული შემოქმედებითი ბუნების დავალება ან/და სასწავლო პროექტი, აგრეთვე, სრულად მოამზადონ ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; საბაზო საფეხურის პროგრამაში ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საგნებისათვის შექმნან შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, რომელშიც შეფასების კრიტერიუმები ორიენტირებული იქნება საბაზო და საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო - ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის საგნების სამიზნე ცნებებზე.*

		უცხოური ენები: კურიკულუმებში სადაც არ არის შეფასების კრიტერიუმები დაკონკრეტებული, გადაიხედოს და გამოიკვეთოს დეტალურად, რათა უფრო ცხადი გახდეს მოსწავლისათვის კონკრეტული მიზნის მიღწევა რა კრიტერიუმით განისაზღვრება. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, საგნობრივმა ჯგუფმა საშუალო საფეხურზე როგორც განმავითარებელ ასევე, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში დააკონკრეტოს, რომელ გრძელვადიან მიზანს მიემართება შეფასება. საგნობრივმა ჯგუფმა მკაფიოდ უნდა გამოკვეთოს, თუ რა ფორმით შეიმუშავებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს და როგორ დაეფუძნებიან გრძელვადიან მიზნებს. სამომავლოდ აუცილებლაად უნდა შეიმუშავონ შეფასების მრავალფეროვანი ჰოლისტური სისტემა. ***სპორტი:*** სასურველია საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკები შეადგინონ კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის მიხედვით.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის ფარგლებში სკოლისთვის არ გაცემულა რეკომენდაციები

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლის მიერ 19/10/2026-ში წარმოდგენილი N1477094 არგუმენტირებული პოზიციის წერილის, დოკუმენტაციისა და შესაბამისობის გეგმის საფუძველზე, შეუსაბამობა მოიხსნა და მეტწილ შესაბამისად შეფასდა შემდეგი ინდიკატორები: 3.1.2.4; 3.4.1.2; 3.5.1.4 და 2.2.2.3 (საბაზო და საშუალო საფეხურები). სკოლამ წარმოადგინა განახლებული იჯარის ხელშეკრულება, შესაბამისად 3.5.1.1 ინდიკატორი შეფასდა სრულად შესაბამისად. რაც შეეხება 3.4.1.1 ინდიკატორს, სკოლას არ წარმოუდგენია მიწერილობა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არც შესაბამისობის გეგმაშია აღნიშნული საკითხი გაწერილი. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი დარჩა ხარვეზებში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

შპს სკოლა ეისმა წარმოადგინა მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი, ასევე 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლის მისიაა: აღზარდოს თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნება,რომელსაც ექნება განვითარებული გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერება და პასუხისმგებლობა ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

შპს ,,სკოლა ეისის“ ხედვაა ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც ყველას თავისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობა ექნება, რაც აღიარებას, ეთიკურსა და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული სკოლის სახელს მოუპოვებს მას რეგიონში.

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიაში წარმოაჩენს საკუთარ თავს, როგორც საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. აღნიშნულს მოწმობს, რომ სკოლა მკაფიოდ განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ფიზიკურად, ემოციურად და ციფრულად უსაფრთხო, ჯანსაღ და პოზიტიურ სოციო-კულტურულ

სივრცეს, სადაც თითოეული მოსწავლის პიროვნული განვითარება უპირველესი პრიორიტეტია **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

- სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული 2026 წლის 28 ივნისი №2-6 405 ბრძანების მიხედვით შექმნილია მისიას, ხედვასა და ღირებულებებზე მომუშავე ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი აერთიანებს მასწავლებელს, ადმინისტრაციას, მოსწავლესა და მშობელს. სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცედურები. სკოლის წარმომადგენლებთან, სამუშაო ჯგუფის წევრებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და გამომდინარეობს მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახული პროცესებიდან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას შემუშავეებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში გაწერილია ის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც მოხდა სკოლაში დოკუმენტების გაზიარება. მისია და ხედვა განხილულია სკოლის მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა სოციალურ დახურულ ჯგუფებში, ასევე ელექტრონული კითხვარების საშუალებით. კერძოდ, ელექტრონული ფოსტის, სკოლის საიტის, საჯარო ღონისძიებების - ინტერაქციული ორმხრივი კომუნიკაციის საშუალებით აუდიტორიასთან, ბეჭდვითი - მატერიუალური მასალებისა და სკოლის Facebook გვერდის საშუალებით ხდება. სკოლის ჰოლში გამოკრულია სკოლის მისია, შინაგანაწესი და სხვდასხვა დოკუმენტაცია. აღნიშნულიდან გამოდინარე ნათლად ჩანს, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი როგორც სასკოლო საზოგადოების, ასევე ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირისთვის. იგი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას (სკოლის საიტზე, სკოლის ჰოლში, საინფორმაციო დაფაზე) ასევე გაზიარებულია სკოლის ვებ გვერდზე და Facebook - ის გვერდზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: შპს სკოლა ეისი. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N2-6;
2. მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი;
3. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები;
4. ელექტრონული გამოკითხვის ფორმა და შედეგები სკოლის საიტზე გამოქვეყნებული დოკუმენტები.
5. სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025
6. სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს** - სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის N ს2-310 ბრძანებით (20 აგვისტო 2023). აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს: სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებულ ძირითად მიდგომებს, საზოგადოებასთან განვითარების მექანიზმებს, სამუშაო ჯგუფის ფორმირებასა და შემადაგენლობას, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას სამოქმედო გეგმაში ცვლილებებს, მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანასა და გაზიარებას, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარების შემუშავების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და პრიორიტეტებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს** - სკოლას დამკიცებული აქვს სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი ,გარდა ამისა სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული გეგმა რომელიც შვიდწლიანია (2024-2031 წლები) და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს და სკოლის SWOT ანალიზს. სტრატეგიულ გეგმაში განხილულია სხვადასხვა მიმართულება - სტრატეგიული მიზნები, შესაბამისი ამოცანები და შესრულების პერიოდი. სკოლამ სტრატეგიულ გეგმას რევიზია გაუწია 2026 წელს, რის მიხედვითაც განახორციელა გარკვეული ცვლილებები. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა პროცედურების სრული დაცვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას** - სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი (2026-2027 სასწავლო წლის). სამოქმედო გეგმაში გაწერილია ის მიმართულებები, რომლის მიხედვითაც გეგმავს სკოლა მუშაობას ერთი წლის განმავლობაში. მაგალითად, 1. სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება. 2. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება. 3. სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება. 4. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია. 5.სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა.

6. სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით. სკოლის ერთწლიანი გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და მასში გათვალისწინებულია 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმის მონიტორინგის და სკოლის თვითშეფასების საკითხები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია** - სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მოცემულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. მაგალითად, სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება, ამის შემდეგ მოცემულია კონკრეტული აქტივობების ნუსხვა ამ მიზნის მისაღწევად. მაგალითად, სკოლის დოკუმენტაციის: სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, შემდეგ განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და ვადები. თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრული ვადები რეალისტურია, აღნიშნულ დოკუმენტში ნათლად არის წარმოდგენილი გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს** - სკოლამ ავტორიცაზიის ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტისას წარუდგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი. აღნიშნული დოუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირქტორის მიერ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს: სტრატეგიული დაგეგმვის ქვეპროცესებს; სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართულ მხარებს; სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებულ ძირითად მიდგომებს; გაზიარების მექანიზმებს;

სამუშაო ჯგუფის ფორმირებასა და შემადგენლობას; სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას, მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანა და გაზიარება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება; მონიტორინგისა და შეფასების მიზნით სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დაწყების წინ დირექტორი ქმნის სამუშაო ჯგუფს, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის ჯგუფს, რომლის წევრები შერჩეულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან და ბრძანებით ამტკიცებს მას. სამუშაო ჯგუფის ბრძანებით განსაზღვრულია: სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი, სამუშაო ჯგუფის წევრები. მონიტორინგის ჯგუფის წევრებად განსაზღვრულია, ჯგუფის თავმჯდომარე, ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და ჯგუფის წევრები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით - სკოლას სტრატეგიული დაგეგმარების მეთოლოგიაში გათვალისწინებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობა, გეგმების გაზიარება და უკუკავშირის მიღება. ინტერვიუერებისას, სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ სასწავლო წლის ბოლოს ტარდება შემაჯამებელი ღონისძიება და სკოლა ამ ღონისძიებაზე აკეთებს შესრულებული სამუშაოების რეზუმირებას. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა უკუკავშირი: ჩანაწერები, ინიციატივები და წინადადებები და სკოლის სოციალურ ქსელებში გაკეთებული კომენტარები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა - სკოლის ადმინისტრაციის განმარტებიით, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს (მაგ: სასკოლო აქტივობების სახით, რომელიც გასულ სასწავლო წელს განხორციელდა სკოლაში, დასკვნითი და შემაჯამებელი აქტივობები გამოიფინა სკოლის დერეფნებში, პრეზენტაციებზე დასწრება ღიაა თემში შემავალი ყველა დაინტერესებული პირისთვის. აღნიშნული აქტივობის მიმდინარეობის ამსახველი ფოტო მასალა გამოქვეყნდა სკოლის facebook გვერდზე; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის** - სკოლის დირექტორის და ხარისხის მართვის მენეჯერის გასული სასწავლო წლის ანგარიშები მრავლამხრივია და მოიცავს ძირითად საკითხებს, მოსწავლეებს მათ შედეგებს, პედაგოგებსა და მათ შედეგებს. ანგარიში შემუშავებულია საგნობრივი კათედრების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული ანგარიშები საფუძვლად ედება მომდევნო სასწავლო წლის გეგმების შემუშავებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მომუშავე ჯგუფის დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სკოლის სტრუქტურა, ასევე საშტატო განრიგი, რომელიც შემუშავებულია დირექტორის მიერ. წარმოდგენილი საშტატო განრიგის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, ბუღალტერი, ექიმი, დამლაგებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებლები. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. სკოლაში ფუნციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა

თვიმმართველობა, საგნობრივი კათედრები. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც ნათლად არის აღწერილი სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტის ტიპი, პერსონალის ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას** - თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციები, რომელიც შრომითი ხელშეკრულების ნაწილია და შინაგანაწესის დანართი, განსაზღვრავს თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საშტატო ნუსხა;
- სკოლის მიერ გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად** - სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით აქვს დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება პერსონალის მართვის პროცესები. დოკუმენტში ნათლად არის გაწერილი თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანებია: სკოლის ადამიანური რესურსების მართვა. დასაქმებულთა მუდმივი განვითარება, კვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა, სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლის ადაპტაცია. წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და სხვ.

პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა** - სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტში, ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით გაწერილია სხვადასხვა მნიშვნელოვანი პუნქტი. წარმოდგენილია პერსონალის არყოფნის შემთხვევაში მისი ჩანაცვლების მექანიზმები, ასევე სკოლის შინაგანაწესში ნათლად არის გაწერილი საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის საკითხები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით** - სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის გამოცხადების წესი, რომელიც შემუშავებულია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად.ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გადამოწმდა ვაკანტური ადგილის დასაკავებლად ჩატარებული კონკურსების დოკუმენტაცია, რომლებიც სრულად შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებსა და დირექციის წარმომადგენლებს აქვთ ცნობები ნასამართლეობის შესახებ. ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და „უფლების ჩამორთმევის შესახებ; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას** - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები შერჩეულნი არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. აქედან გამომდინარე მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებული თანამდებობის კვალიფიკაციას.სკოლაში დასაქმებულია 32 მასწავლებელი: 1 მენტორი, 1 წამყვანი, 10 მოწვეული და 20 უფროსი მასწავლებელი. მოწვეული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. რაც შეეხება სხვა პერსონალის კვალიფიკაციას, სკოლას ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს პესონალის კვალიფიაცია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა პერსონალის კვალიფიკაციები , სკოლას საშტატო განრიგში და სკოლის სტრუქტურაში წარმოდგენილია ექიმის შტატი, აღნიშნულ პოზიციას იკავებს პირი, რომელის კვალიფიკაციაც არ შეესაბამება დადგენილ ნორმებს, თუმცა მას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება დროებითი ვადით, სანამ არ მოხდება

კვალიფიციური კადრის შერჩევა. ასევე, სკოლას არაერთგზის გამოცხადებული აქვს ვაკანსია, რომელიც ვიზიტის პერიოდშიც ვალიდურია. **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის საფუძველზეც გაიცა რეკომენდაცია. რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმის ვადებში (15/10/2026 – 15/10/2027) უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიციური ექიმის აყვანა. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება;**

4. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს - სკოლის მართვა თანამონაწილეობრივია. მასში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება (დირექცია, ადმინისტრაცია და თანამშრომლები).სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმებისა და შეფასების რუბრიკების შემუშავება. სკოლის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს. სკოლის სტრუქტურული ერთეულები მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, იყენებენ თანამშრომლობით პრინციპს. სტრუქტურული ერთეულები დამოუკიდებლად მოქმედებენ, იღებენ გადაწყვეტილებებს. ორგანიზაციული კულტურის განვითარებას ხელს უწყობს სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტი. ასევე, პედაგოგიური საბჭოს მუშაობა და სხვა. ასევე სხვადასხვა პროექტით, გუნდებით ჩანს, რომ წახალისებულია სასკოლო კულტურა; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

5. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი** - სკოლის შენაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. ასევე სკოლას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს თანამშრომლეთა მოტივაცია, რაც გულისხმობს თანამშრომელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებას. ხოლო წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით კათედრები წარადგნენ კანდიდატურას, რაც ნიშნავს იმას, რომ კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და შემდეგ ხდება მათი წარდგენა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის შრომითი / მომსახურების ხელშეკრულებები;
- სკოლის პერსონალის პირადი საქმეები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები - სკოლას მასწავლებლის საჭიროების დადგენის მექანიზმად წარმოდგენილი აქვს გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა, გაკვეთილის გეგმის შეფასების სქემა. სკოლას ასევე ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის ფუნქციებში შედის მასწავლებელთა მუდმივი დაკვირვება და განმავითარებელი უკუკავშირი. ასევე პერსონალის შეფასების და მათი პროფესიული მხარდაჭერის კუთხით, სკოლას გაწერილი აქვს მექანიზმები თანამშრომელთა შეფასებისა და წახალისების კუთხით; სკოლას აქვს გაწერილი პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები; ამ მიზნით, სკოლა ატარებს კვლევას, სკოლის პერსონალის თვითშეფასების კითხვარის პერიოდულად შევსებისა და მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე პერიოდულად უზრუნველყოფს ტრენინგებს როგორც საკუთარი პერსონალის დახმარებით, ასევე მოწვეული ტრენერების საშუალებით, განისაზღვრება პროფესიული ლიტერატურა, რაც უნდა დამუშავდეს და ა.შ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

1. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად** - სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც ასახულია პერსონალის განვითარების გეგმა. სკოლა ასევე გეგმავს და ანხორციელებს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობების, ტრენინგებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
2. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას** - სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ამოცანები. სკოლის პერსონალის გადამზადება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ზრდას და სკოლის განვითარებას. ამასთან დაკავშირებით სკოლა მასწავლებლებს აწვდის დროულ ინფორმაციას ხელმისაწვდომი ტრენინგების შესახებ, ასევე სკოლის ადმინისტრაცია თავად აორგანიზებს მიზნობრივ ტრენინგებს. მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი ტრენინგზე დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტი ცნობის ან სერთიფიკატის სახით. სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება. აღნიშნული პუნქტი არეგულირებს პერსონალის საჭიროებების დადგენას, და შემდეგ წინსვლის ხელშეწყობას. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მასწავლებლები პერმანენტულად გადიან ტრენინგებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
3. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან** - სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს თანამშრომელთა ადაპტაციის პუნქტი - ახალი თანამშროლის სოციალიზაცია. ამ მიმართულებით გაწერილია ის ზოგადი ნაბიჯები, რომლებსაც დგამს სკოლა ახალი თანამშრომლის მიღებისას. გარდა ამისა სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
4. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები** - სკოლის შინაგანაწესი და ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია თანამშრომლების წახალისების ფორმები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის თანამშრომელთა ადაპტაციის წესი;

- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად** - სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ხარისხის განვითარების ჯგუფის საქმიანობა ადასტურებს აღნიშნულ ინდიკატორს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები** - საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. გაწერილია დირექციისა და

ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში. სკოლის საქმიანობის მმართველობითი პროცესები აღწერილია სკოლის ადმინისტრაციულ და უმაღლესი მმართველობითი რგოლის საქმიანობაში, ხოლო ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და ფუნქციურად აღწერილია სხვა სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობებში.
ინდიკატორი შესაბამისობაშია;

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა** - სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები“, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს მიღებული შედეგის გასაჩივრების ეტაპებსაც. ასევე შპს ,,სკოლა ეისის“ დირექტორის 2024 წლის 19.08. №2-357 ბრძანებით დამტკიცებულია საჩივრის განხილვის პროცედურის დოკუმენტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები** - სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები“. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმნეტი;
- დირექტორის 2024 წლის 19.08. #ს2-357 ბრძანებით დამტკიცებულია საჩივრის განხილვის პროცედურის დოკუმენტი..
- სკოლის „ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა ეფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით.
- სკოლის დირექტორის ბრძანება „მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების დამკიცების შესახებ“.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები** - სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოლოგია, დოკუმენტში გაწერილია საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები და ეტაპები; სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულნი არიან სწავლა-

სწავლების პროცესში. უკუკავშირის მიზნით, მათ ეგზავნებათ სსგ, დებულებები და სხვა. საჭიროების შემთხვევაში საკითხები განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, შეხვედრებზე, სადამრიგებლო საათებზე, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მოსწავლეები და მათი მშობლები იღებენ ინფორმაციას სასწავლო შედეგებისა თუ პრობლემების შესახებ. სკოლას, მასწავლებებსა, დამრიგებლებს აქვთ სოციალურ ქსელში შექმნილი სამიზნე ჯგუფები, რომლებიც ასევე ხელს უწყობს სწრაფ და ეფექტურ უკუკავშრის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა** - დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, კერძოდ, საგნობრივი კათედრების შემდგენლობაშია ყველა მასწავლებელი, სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყოს სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სკოლის Facebook გვერდი;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია სკოლის შინაგანაწესი, უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები. უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიწერილობა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სკოლის შენობაში დამონტაჟებულია ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, არის ცეცხლმაქრობები **ხარვეზი: სკოლამ ამ ეტაპზე ვერ წარმოადგინა მიწერილობა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე, გაიცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმის ვადებში (01/10/2026 – 01/10/2027) უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.

რჩევა: სკოლას ვურჩევთ, დადოს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან.

ინდიკატორი არ შეესაბამება.

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლაში არის 41/ნ ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სკოლის საშტატო ნუსხაში და სკოლის სტრუქტურაში ასახულია სკოლის ექიმი. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა ექიმი, აღნიშნულ პოზიციას იკავებს პირი, რომლის კვალიფიკაციაც არ შეესაბამება დადგენილ ნორმებს, თუმცა მას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება დროებითი ვადით, სანამ არ მოხდება კვალიფიციური კადრის შერჩევა. ასევე, სკოლას არაერთგზის გამოცხადებული აქვს ვაკანსია, რომელიც ვიზიტის პერიოდშიც ვალიდურია . სკოლას შესყიდული აქვთ მედიკამენტები დადგენილი წესის მიხედვით. სკოლამ

წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის საფუძველზე გაიცა რეკომენდაცია . **რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმის ვადებში (15/10/2026 – 15/10/2027) უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიციური ექიმის აყვანა. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება;**

3სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინიტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ქცევის წესები (თამბაქოს მოხმარების აკრძალვა, გადაუდებელი დახმარების ნომრები და ა.შ.), რითაც რეგულირდება წესრიგის დაცვის მექანიზმები. სკოლა აღჭურვილია 11 ვიდეო თვალით, რომელიც 24 საათის მანძილზე აკონტროლებს სკოლის გარე და შიდა პრიმეტრს. ყველა ვიდეოთვალი განთავსებულია ისე, რომ სრული პერიმეტრის ხედვა შესაძლებელია. . **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4 **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს** - ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში იგრძნობოდა კეთილგანწყობილი და პოზიტიური შეხვედრა, საკლასო ოთახებსა და დერეფნებში გამოფენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრები. გარდა ამისა, სკოლის ინფრასტრუქტურა (სამასწავლებლო, სამუშაო სივცეების, საკლასო ოთხები) და სკოლაში დასაქმებული პირები, ერთობლივად ქმნიან ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

5 **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას** - სანიტარული ნორმების დაცვის თვალისაზრისით სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

6 **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას** - სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემთა დაცვას „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. სკოლას ემსახურება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

7 **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები** - სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხდება ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

8 სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის - სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული სკოლის უსაფრთხოების დაცვის კონკტროლის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით, სხვადასხვა მიმართულებით განსაზღვრულნი არიან პასუხისმგებელი პირები. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კოორდინატორი სკოლის დირექტორს პერიოდულად აწვდის ინფორმაციას და ხდება მასზე მყისიერი რეაგირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვიზუალური დათვალირება;
- სკოლის პერსონალური მონაცემებთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით** -სკოლამ წარმოადგინა განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერი, პირველ სართულზე განთავსებულია: საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, სველი წერტილები, ექიმის კაბინეტი, კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია, მეორე სართულზე განლაგებულია: დირექტორის კაბინეტი, საქმის წარმოების ოთახი, სამასწავლებლო, ოთახი ქიმია ბიოლოგიის ლაბორატორიისთვის, ბიბლიოთეკა. ამჟამად სკოლაში ირიცხება 148 მოსწავლე. სკოლა სრულად მატერიალურ რესურსებს. უზრუნველყოფს აღნიშნული რაოდენობის მოსწავლეებისთვის სკოლის დირექციის განმარტებით, მიმდინარეობს სკოლის ახალი შენობის მშენებლობა, ვიზიტის მიმდინარეობის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც დასტურდება სკოლისთვის ფართის გადაცემა, თუმცა იჯარის ვადა იწურება 2028 წელს, შესაბამისად აღნიშნული ვადა არ შეესაბამება ავტორიზაციის პერიოდს. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა განახლებული 10 წლის ვადით იჯარის ხელშეკრულება.**
ინდიკატორი შეესაბამება;
2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის** - დაწესებულების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო, სპორტული დარბაზი ,) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით:** სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას დადგენილი წესის მიხედვით; სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლაში მოქმედებს ბიბლიოთეკის დებულება. დაწესებულებაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი. სკოლაში დაცულია საბიბლიოთეკო წესით რეგისტრირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული და პროფესიული ლიტერატურა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს** - სკოლის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი, კიბის უჯრედებში დამონტაჟებულია კუსტარული სახის მექანიკური პანდუსები, ასევე არის გამოყოფილი სივრცე შშმ პირთა საპირფარეშოსთვის, თუმცა დამონტაჟებული საყრდენი კუსტარულია და საპირფარეშო არ შეესაბამება არსებულ ნორმებს. **სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე, სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ვადებში (15/10/2026 – 15/10/2027) უზრუნველყოს შენობაში ეტლით მოსარგებლე პირებისთვის, მათ**

შორის ლაბორატორიებსა და სხვა მნიშვნელოვან სივრცეებში გადაადგილების ხელმისაწვდომობა. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება;

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას** - სკოლის ინფრასტრუქტურა (სკოლის ეზო, დარბაზი), ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მატერიალური ქონების ფლობის დოკუმენტაცია;
- სკოლის ინვენტარიზაციის შედეგები;
- სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას** - ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას, სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია არის აღჭურვილი კომპიუტერებით გარდა ამისა სკოლას აქვს პორტატული კომპიუტერები (ლეპტოპები). სკოლას ჯამში აქვს 11 კომპიუტერი, და 2 პროექტორი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად** - სკოლის ტექნოლოგიები ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სასწავლო პროცესის მიდინარეობისას, დგება გაკვეთილების ცხრილი და გარკვეულწილად ეს არეგულირებს სარგებლობის წესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვიზულური დათვალიერება;
- სკოლის კოპიუტერების ფლობის დოკუმენტაცია;

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი** - სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა** - სკოლაში, როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის, გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა და

სრულად უზრუნველყოფილია შემოსული და გასული დოკუმენტაციის ბრუნვა. Eschool-ის ბაზა და office 365. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში** - ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადგინდა , რომ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool სისტემაში სკოლას სრულყოფილად აქვს ასახული მონაცემები, შესაბამისად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან** - სკოლის მიერ გაგზავნილი კორესპონდენციის შემოწმების მიხედვით, დგინდება, რომ დროულად აწვდის ანგარიშებს და ინფორმაციას საგანამანათლებლო საქმიანობის შესახებ შესაბამის უწყებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია;
- სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამისი პროფილის დათვალიერება;
- სკოლის საქმის წარმოების ერთიანი წესი;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით** - სკოლა ავრცელებს მის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და საგანმათალებლო პროგრამების შესახებ უტყუარ ინფორმაციას. Facebook გვერდზე იდება მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ გადამოწმებული და დადასტურებული ინფორმაცია. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სკოლის შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას** - სკოლა ავრცელებს მის მიერ გნახორციელებული საქმიანობისა და

საგნანათლებლო პროგრამების შესახებ უტყუარ ინფორმაციას. სკოლის ვებ გვერდზე და Facebook გვერდზე იდება მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ გადამოწმებული და დადასტურებული ინფორმაცია, სკოლას განსაზღვრული ყავს ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი.; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად** - სკოლის წარმოადგენელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლა გამოკითხვას ატარებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, თემის წარმომადგენლებთან, შემდეგ აანალიზებს მიღებულ შედეგებს და შემდეგ სამომვალოდ იყნებს მათ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას** - - სკოლის ვებ-გვერზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, რადგან სკოლა სწავლებს ახორციელებს ქართულ ენაზე. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია სკოლის სოციალურ Facebook გვერდზეც; **ინდიკატორი შესაბამისია;**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**- სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ოფიციალური სოციალური ქსელის Facebook გვერდი;
- სკოლის ვებ-გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება** - სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა რელევანტურია დაა შეესაბამება სკოლის ფინანსურ რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა** - სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლის დირექტორი ანხორციელებს ფინანსური რესურსების განკარგვას და მონიტორინგს; სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სკოლის დირექტორის მიერ, სკოლის ბუღალტერის მონაწილეობით. დაგეგმვა ხდება საგნობრივ კათედრებთან და სასკოლო საზოგადოების წევრებთან თანამშრომლობით. სკოლაში შექმნილია ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2026წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

- სკოლის 2025 წლის და 2026 წლის ბიუჯეტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა უზრუნველყოფილია გამართული სამართლებრივი მექანიზმებითა და მათი პრაქტიკული იმპლემენტაციით. სკოლაში მოქმედებს სპეციალური დოკუმენტი — „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებსა და მათი რეალიზების გზებს. დანერგილია „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“ , რაც უზრუნველყოფს ნებისმიერი საკითხის სამართლიან, დროულ და ობიექტურ შესწავლას. მოსწავლეთა ინტერესების დაცვის რეალური გარანტიაა მათი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სკოლა ორიენტირებულია ბავშვის საუკეთესო

ინტერესების გატარებაზე, რაც გამოიხატება როგორც აკადემიური, ისე პიროვნული თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები და რეგულაციები არის საჯარო, გამჭვირვალე და აქტიურად გაზიარებული სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მოსწავლეთა უფლებების რეალიზებისა და მათი ინფორმირებულობის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს მოსწავლეთა ჩართულობის ფორმებს სკოლის მართვის პროცესში და მათ უფლებამოსილებებს, რაც სრულად არის გაზიარებული მოსწავლეებისთვის. სკოლის შინაგაწესი, მოსწავლის უფლება-მოვალეობები და თვითმმართველობის დებულება განთავსებულია სკოლის თვალსაჩინო ადგილას (საინფორმაციო დაფაზე) და სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე. სასწავლო წლის დასაწყისში ტარდება საინფორმაციო შეხვედრები და დამრიგებლის საათები, სადაც ხდება მოსწავლეთა და მშობელთა დეტალური ინფორმირება მათი უფლებებისა და იმ რეგულაციების შესახებ, რომლებიც იცავს მათ კანონიერ ინტერესებს. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, თვითმმართველობის მეშვეობით შეიტანონ წინადადებები რეგულაციების დახვეწის ან ცვლილების შესახებ, რაც უზრუნველყოფს პროცესის ორმხრივობასა და ნდობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლაში მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობა გამყარებულია წერილობითი ხელშეკრულებებით, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტებისა და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით. დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული მხარეთა უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები. ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების, სკოლის შინაგაწესის დაცვის, მოსწავლის უსაფრთხოებისა და მხარეთა შორის კომუნიკაციის ფორმების შესახებ. ხელშეკრულების გაფორმების პროცესი გამჭვირვალეა. მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ეძლევათ გონივრული ვადა დოკუმენტის შინაარსის გასაცნობად, რის შემდეგაც ხდება მისი ორმხრივი ხელმოწერა. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მშობელს, ხოლო მეორე ინახება მოსწავლის პირად საქმეში. სკოლაში დაცულია ხელშეკრულებების აღრიცხვისა და შენახვის წესი. მონიტორინგის პროცესში დადასტურდა, რომ ყველა აქტიურ მოსწავლესთან გაფორმებულია შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი. ხელშეკრულება მშობელთან დადებულია ვადით სტატუსის შეწყვეტამდე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

დამრიგებლობის დებულება;

მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;

შობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოსწავლის სტატუსის მართვა ხორციელდება გამჭვირვალედ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების სრული დაცვით.სკოლას შემუშავებული აქვს ცალკე დოკუმენტად მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; მოსწავლეთა მიღება პირველ კლასში და მობილობის პროცესი (როგორც შიდა, ისე გარე) წარიმართება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მეშვეობით, დადგენილ ვადებში. სკოლა უზრუნველყოფს ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხის საჯაროობას. მოსწავლის სტატუსის შეჩერება (მაგალითად, 45-დღიანი გაცდენის ან საზღვარგარეთ გამგზავრების გამო) და შეწყვეტა ხდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით. თითოეულ შემთხვევაზე გამოიცემა დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება). სკოლას აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასებისა და საფეხურის დაძლევის მკაფიო სისტემა, რაც ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შედეგები აისახება ელექტრონულ ჟურნალში, რაც პროცესს ხდის სანდოს და მშობლისთვის ხელმისაწვდომს. სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით სკოლა მუდმივ კომუნიკაციაშია მშობელთან. ნებისმიერი გადაწყვეტილება (მაგ. სტატუსის შეჩერების შესახებ) ოპერატიულად ეცნობება კანონიერ წარმომადგენელს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის სტატუსის მართვასთან დაკავშირებულ ყველა სამართლებრივ მექანიზმს. პროცესების ადმინისტრირება ხდება გამჭვირვალედ და კანონმდებლობის სრული დაცვით. მოსწავლეთა ჩარიცხვა, მობილობა და საფეხურის დაძლევა ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. სკოლა სისტემატურად ახდენს მონაცემების ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS), რაც გამორიცხავს ტექნიკურ თუ სამართლებრივ ხარვეზებს. ხდება გაცდენების ყოველდღიური მონიტორინგი. სკოლა მაქსიმალურად უწყობს ხელს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობას, რათა თავიდან იქნას აცილებული სტატუსის შეჩერების საფუძვლები (მაგ. 45-დღიანი გაცდენა). მობილობის მსურველი მოსწავლეებისათვის სკოლა დროულად გასცემს საჭირო დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლაში ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით, რაც ხელს უწყობს სასწოლო საზოგადოების მაღალ ინფორმირებულობას. სკოლის ფოიეში, ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ინფორმაცია სკოლის სტრუქტურის, შინაგაწესის, მოსწავლის ქცევის კოდექსისა და სასწავლო გრაფიკის შესახებ. სკოლის ციფრული პლატფორმები - ოფიციალური Facebook-გვერდი და ვებგვერდი აქტიურად გამოიყენება სიახლეების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სკოლის შიდა პოლიტიკის გასაჯაროების მიზნით. აქ მშობლებს შეუძლიათ გაეცნონ სკოლაში არსებულ პროექტებსა და დამატებით მომსახურებებს. ინფორმაცია ქცევის წესების შესახებ ინტეგრირებულია დამრიგებლის საათებში, შინაგაწესსა და მოსწავლის ხელშეკრულებაში. მშობლები ხელმოწერით ადასტურებენ, რომ გაეცნენ ამ მოთხოვნებს. სკოლის ადმინისტრაცია და დამრიგებლები რეგულარულად მართავენ საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც დეტალურად განმარტავენ სკოლის პოლიტიკასა და დაგეგმილ პროგრამებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლაში ინფორმაციის გავრცელების პროცესი ეფუძნება ეთიკურობის, ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპებს. სკოლა უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი საჯარო კომუნიკაცია იყოს კანონმდებლობასთან შესაბამისი და მომხმარებლისთვის გასაგები. სკოლის ადმინისტრაცია და ისტ სპეციალისტი მუდმივად აკონტროლებენ საინფორმაციო არხებს (სოციალური ქსელი, საინფორმაციო დაფა). ნებისმიერი ინფორმაცია პროგრამების, რესურსებისა თუ დაგეგმილი აქტივობების შესახებ

ოპერატიულად ახლდება, რათა გამოირიცხოს საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. ინფორმაციის გავრცელებისას დაცულია ინკლუზიურობის პრინციპები. ვიზუალური თუ ტექსტური მასალები არ შეიცავს დისკრიმინაციულ ნიშნებს (სქესობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა ნიშნით). მასწავლებლები და ადმინისტრაციის წევრები ინფორმაციის გავრცელებისას (მაგ. მშობელთა ჯგუფებში ან საჯარო სივრცეში) ხელმძღვანელობენ „პედაგოგის ეთიკის კოდექსით“, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის მაღალ სტანდარტს. სკოლის კედლებზე, ციფრულ პლატფორმებზე გათავსებული სარეკლამო თუ საინფორმაციო მასალები სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნებს (მაგალითად, მოსწავლის ფოტოს გამოქვეყნება ხდება მშობლის თანხმობით).

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ფეისბუქ გვერდი ; სკოლის ვერ გვერდი*
- *მშობლეთან დადებული ხელშეკრულებები;*
- *საფეხურის დაძლევის მექანიზმის დებულება*
- *სკოლის განცხადებების დაფა და ფოიეში გამოქვეყნებული მასალები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სკოლაში მოქმედებს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ეფექტიანი სისტემა, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ემოციურ სტაბილურობასა და სასწავლო პროცესში მათ უმტკივნეულო ინტეგრაციას. სკოლას გააჩნია სპეციალურად შემუშავებული „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით . დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს იმ ნაბიჯებსა და აქტივობებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ახლადჩარიცხული მოსწავლეების მხარდასაჭერად. პირველკლასელთათვის ეწყობა სკოლის შენობის დათვალიერება, გაცნობითი თამაშები და საინფორმაციო შეხვედრები მშობლებისთვის, რათა შემცირდეს სასკოლო შფოთვა. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სხვა სკოლიდან გადმოსულ მოსწავლეებს. მასწავლებლები და მოსწავლეები ეხმარებიან ახალ გარემოსთან შეგუებაში. ადაპტაციის პროცესში ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, დამრიგებელი და საჭიროების შემთხვევაში — სამედიცინო პერსონალი. მათი კოორდინირებული მუშაობა მიმართულია მოსწავლისთვის უსაფრთხო და მეგობრული ატმოსფეროს შექმნისკენ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდანვე უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას, რათა მათ წარმატებით გაიარონ სოციალიზაციისა და სასწავლო გარემოსთან შეგუების ეტაპები. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ წარმოადგენს მთავარ სახელმძღვანელოს, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ აქტივობებს სასწავლო წლის პირველივე დღეებიდან. სწავლის დაწყებამდე დამრიგებლები ამყარებენ პირველად კომუნიკაციას მშობლებთან და მოსწავლეებთან, აწვდიან ინფორმაციას სკოლის განრიგისა და გარემოს შესახებ, რაც ამცირებს გაურკვევლობის განცდას. სწავლის დაწყების პირველ კვირას აქცენტი კეთდება არა აკადემიურ დატვირთვაზე, არამედ საორიენტაციო შეხვედრებზე. მოსწავლეები ეცნობიან სკოლის სივრცეებს (ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, სპორტული დარბაზი), ექიმის კაბინეტს. თითოეული კლასის დამრიგებელი პირველივე დღეებიდან ახორციელებს მოსწავლეებზე დაკვირვებას, რათა დროულად მოახდინოს რეაგირება იმ შემთხვევებზე, როდესაც მოსწავლეს უჭირს ახალ კოლექტივში ინტეგრაცია. სკოლა სწავლის დაწყებისთანავე მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც მშობლები იღებენ რეკომენდაციებს, თუ როგორ შეუწყონ ხელი შვილის ადაპტაციას სახლის პირობებში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის სისტემა, რომელიც ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესზე. მასწავლებლები რეგულარულად აწვდიან მოსწავლეებს ზეპირ და წერილობით უკუკავშირს, სადაც ნიშნებთან ერთად აქცენტი კეთდება იმაზე, თუ კონკრეტულად რა უნდა გააუმჯობესოს მოსწავლემ და რა გზით. მოსწავლეებს, რომლებსაც უჭირთ კონკრეტული მასალის ათვისება, აქვთ შესაძლებლობა მიიღონ დამატებითი განმარტებები. დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზების დასადგენად, დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია საგნის მასწავლებლებთან და მშობლებთან. მშობლები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას შვილის აკადემიური მიღწევების შესახებ (ელექტრონული

ჟურნალის, პირადი შეხვედრების ან დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით), რაც მათ საშუალებას აძლევს დროულად ჩაერთონ მხარდაჭერის პროცესში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლაში ადმინისტრაციული პროცესები წარიმართება ეფექტიანად, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი მშობლების უფლებების სრულყოფილ რეალიზებას კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. ადგილზე წარმოებული დოკუმენტებისა და მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონული პლატფორმის ანალიზით ირკვევა, რომ სკოლის კანცელარია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლის სტატუსის შესახებ ცნობების, აკადემიური მოსწრების ფურცლებისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის მომზადებასა და გაცემას მიმართვიდან უმოკლეს ვადაში (არაუმეტეს კანონით დადგენილი ვადებისა). სხვა სკოლაში გადასვლის ან გადმოსვლის დროს, სკოლა ოპერატიულად ამზადებს მოსწავლის პირად საქმეს და უზრუნველყოფს მონაცემების ასახვას EMIS-ის ბაზაში, რათა არ შეფერხდეს მოსწავლის სასწავლო პროცესი. სკოლის ადმინისტრაცია მშობლებსა და მოსწავლეებს უწევს კონსულტაციას მათი უფლებების, სკოლის რეგულაციებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ. ნებისმიერი წერილობითი თუ ზეპირი მომართვა (მაგალითად, საგნის ექსტერნატის წესით დაძლევა, საგამოცდო პროცესები და სხვ.) განიხილება დადგენილი პროცედურით, რაც დასტურდება სკოლის გამავალი და შემავალი დოკუმენტაციის ჟურნალით. სკოლა მაქსიმალურად იყენებს ელექტრონულ პლატფორმებს კომუნიკაციის დასაჩქარებლად, რაც მშობლებს უზოგავს დროს ადმინისტრაციული მომსახურების მიღებისას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას არაფორმალური განათლების გზით. სკოლაში შექმნილია გარემო, სადაც მოსწავლეების ინიციატივები პოულობს პრაქტიკულ მხარდაჭერას კვალიფიციური პერსონალის მხრიდან. არაფორმალურ აქტივობებსა და სასკოლო კლუბებს ხელმძღვანელობენ სკოლის მასწავლებლები (უფროსი და წამყვანი სტატუსით), რომლებსაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება პროექტული სწავლებისა და გუნდური მუშაობის მართვაში. სკოლა ახალისებს მოსწავლეთა მიერ შემოთავაზებულ იდეებს. მაგალითად, მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ინიცირებული გარემოსდაცვითი კამპანიები თუ სპორტული ტურნირები ხორციელდება ადმინისტრაციული და მატერიალური მხარდაჭერით. არაფორმალურ აქტივობებში ჩართული მოსწავლეები სკოლის მხრიდან ჯილდოვდებიან სიგელებით, სერტიფიკატებითა და საჯარო აღიარებით (სკოლის სოციალური ქსელებისა და საზეიმო ღონისძიებების მეშვეობით), რაც ზრდის მათ მოტივაციას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლაში სწავლობს 148 მოსწავლე, რაც საშუალებას იძლევა განსაკუთრებით ეფექტური იყოს სკოლაში დანერგილი უკუკავშირის სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა მოსწავლეთა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების საფუძველზე მუდმივად გააუმჯობესოს სასკოლო მომსახურება. სკოლის ადმინისტრაცია რეგულარულად მართავს საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრებს მოსწავლეებთან. ამ შეხვედრებისას გამოთქმული ინიციატივები და შენიშვნები ხდება სკოლის სამოქმედო გეგმის კორექტირების საფუძველი. მოსწავლეთაგან მიღებული ინფორმაციის ანალიზი ხდება ხარისხის მართვის ჯგუფისა და ადმინისტრაციის მიერ. უკუკავშირი მიიღება მშობელთა გამოკითხვების საფუძველზეც, რაც ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა სკოლის უსაფრთხოება, კვება. მაგალითად, ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს სასკოლო კვების მომსახურება. მშობელთა თხოვნით სკოლის ადმინისტრაცია ანხორციელებს ახალი შენობისაღჭურვას კვებითი ბლოკით. უკუკავშირის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები საჯაროვდება სასკოლო საზოგადოებისთვის, რაც ამაღლებს ნდობასა და ჩართულობის მოტივაციას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დამრიგებლის დებულება*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;*
- *ტრანზიციის დებულება;*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება სისტემური ხასიათისაა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რათა მოსწავლეებს დაეხმაროს სწორი არჩევანის გაკეთებაში. ეს პარტნიორობა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ახლოს გაეცნონ საუნივერსიტეტო გარემოსა და საგანმანათლებლო პროგრამებს. პროფესიული განათლების პოპულარიზაცია: პროფესიული ორიენტაციის მიზნით, სკოლა თანამშრომლობს გორის საზოგადოებრივ კოლეჯთან. დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეებს ეხმარება პრაქტიკული უნარების მნიშვნელობის გააზრებასა და პროფესიული განათლების შესაძლებლობების შესწავლაში. კარიერული დაგეგმვის ფარგლებში დამრიგებლები და სკოლის ადმინისტრაცია მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას ეროვნული გამოცდების, პროფესიული

ტესტირებებისა და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ. აქტიურად ისწავლება მეწარმეობა, ამ კუთხით ხორციელდება უამრავი საინტერესო პროექტი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი მშობლების უწყვეტ ინფორმირებას იმ საგანმანათლებლო და კარიერული გზების შესახებ, რომლებიც მათ ზოგადი განათლების საფეხურის დასრულების შემდეგ ეხსნებათ. სკოლა მუდმივად ადევნებს თვალს სიახლეებს უმაღლესი და პროფესიული განათლების სფეროში. ინფორმაცია ეროვნული გამოცდების, პროფესიული ტესტირების ვადებისა და სიახლეების შესახებ ოპერატიულად ვრცელდება სკოლის საინფორმაციო არხებით (დამრიგებლები, სოციალური ქსელი, საინფორმაციო დაფა, ღია კარის დღეები). ინფორმაციის მიწოდება ხდება უშუალოდ კომპეტენტური პირებისა და ინსტიტუციებისგან. მოსწავლეები პირველწყაროსგან იღებენ სანდო მონაცემებს ჩარიცხვის პირობებისა და კარიერული პერსპექტივების შესახებ. საფეხურის დასრულებისას (მე-9 და მე-12 კლასები), დამრიგებლები ატარებენ მიზნობრივ შეხვედრებს, სადაც განიხილება თითოეული მოსწავლის ინტერესები და მათზე მორგებული შემდგომი განვითარების შესაძლებლობები. სკოლა აცნობიერებს მშობლის როლს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ამიტომ კარიერული ორიენტაციის შეხვედრებზე ხშირად მშობლებიც არიან მოწვეულნი, რათა მათაც ჰქონდეთ წვდომა სანდო და განახლებულ ინფორმაციაზე. ტარდება მიზნობრივი პროექტები, სადაც მოსწავლეები ანსახიერებენ თავიანთ არჩეულ პროფესიებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების გაუმჯობესება ეფუძნება სისტემური შეფასებისა და ანალიზის პრინციპს. სკოლა არა მხოლოდ აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს, არამედ იკვლევს ამ სერვისების ეფექტიანობას. თითოეული მნიშვნელოვანი აქტივობის შემდეგ სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა გამოკითხვას. ფასდება, რამდენად საინტერესო და ამომწურავი იყო მიღებული ინფორმაცია და კიდევ რომელი სფეროების გაცნობა სურთ მოსწავლეებს. შეფასების შედეგები განიხილება საგნობრივ კათედრებზე ან ადმინისტრაციულ შეხვედრებზე. მაგალითად, თუ მოსწავლეთა უკუკავშირით გამოიკვეთა მაღალი ინტერესი IT ტექნოლოგიების მიმართ, სკოლა მომავალი პერიოდისთვის გეგმავს შესაბამისი პროფილის კოლეჯებთან ან სპეციალისტებთან თანამშრომლობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დამრიგებლის/მასწავლებლის ანგარიშები და პორტფოლიო

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში ჩამოყალიბებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემური მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს მათთვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების მიწოდებას. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირების, მათი შეფასების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავებისა და მონიტორინგის წესს. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას არ ჰყავს ვიზიტის დროს სსსმ მოსწავლე

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა ამ ეტაპზე ახორციელებს მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამას და არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას (როგორიცაა კვება, ტრანსპორტირება, გახანგრძლივებული სწავლება ან საერთო საცხოვრებელი). შესაბამისად, სკოლას არ დასჭირვებია დამატებითი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების/ლიცენზიის მოპოვება.

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლა ამ ეტაპზე ახორციელებს მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამას და არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას (როგორიცაა კვება, ტრანსპორტირება, გახანგრძლივებული სწავლება ან საერთო საცხოვრებელი).

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლა ამ ეტაპზე ახორციელებს მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამას და არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას (როგორიცაა კვება, ტრანსპორტირება, გახანგრძლივებული სწავლება ან საერთო საცხოვრებელი).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2	☒ შეესაბამება

კურიკულუმის განხორციელება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის კურიკულუმი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კურიკულუმი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**.
   სკოლის დირექციისა და საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც აღწერს სასკოლო კურიკულუმის შემუშევებისა და განვითარების ეტაპებს, განვითარების მეთოდოლოგია. ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ძირითად საკითხებზე: 1. რა არის / რას ემსახურება სასკოლო კურიკულუმი; 2. სისტემური დონის რეგულაციები, რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი; 3. პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები / პოზიციები; 4. პროცესში ჩართული მხარეები; 5. ძირითადი პროცესები: 6. კავშირი სხვა პროცესებთან. დოკუმენტი გაზიარებულია კათედრების სხდომებზე. კათედრების მიერ მხარდაჭერილი დოკუმენტი წარდგენილია პედაგოგიური საბჭოსთვის. საგნობრივ კათედრებთან შეხვედრებისა და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის ბოლოს სკოლაში ხდება განხორციელებული კურიკულუმების შეფასება და რევიზია სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეებისა და მშობლების აქტიური ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით. სკოლის დირექციის მიერ გათვალისწინებელია მასწავლებლების ინდივიდუალური ხედვა, გამოცდილება და უკუკავშირები, სასკოლო საზოგადოების შესაძლებლობები, შეხვედრები მშობლებთან როგორც დასწრებული, ასევე დაუსწრებელი ფორმით.

   ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.
2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმები შემუშავებულია კათედრის წევრების სრული ჩართულობით. მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, სკოლის კონკრეტული საჭიროებები. კურიკულუმის შექმნის დროს, აგრეთვე, ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. სასწავლო კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, საფეხურების მიხედვით შეადგინეს კურიკულუმი სასწავლო საკითხების, თემების და შემოქმედებითი პროდუქტის დავალებების ცნებების მიხედვით. კურიკულუმის მიღწევის დონის დიაგნოსტირებისათვის პედაგოგების მხრიდან ხდება განხორციელებული აქტივობებისა და მუშაობის პროცესის გაანალიზება და ამ შედეგების ანალიზის გათვალისწინებით იგეგმება ამ საგნის მომავალი წლის კურიკულუმი. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გაგება-კვლევისათვის პედაგოგებმა სასწავლო წლის დასაწყისში ჩაატარეს მშობელთა კრებები და ზეპირი გამოკითხვის გზით გაიზიარეს მშობელთა მოსაზრებები ბავშვების ინტერესების შესახებ. შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციების, მშობელთა აზრის გათვალისწინებით კათედრებმა შეიმუშავეს საგნის კურიკულუმები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ კურიკულუმს შეიმუშავებს არა ერთი მასწავლებელი, არამედ საგნის ყველა მასწავლებელი აქტიური თანამშრომლობითა და გამოცდილების გაზიარებით. კათედრების ხელმძღვანელები კათედრების სხდომებზე განიხილავენ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილ პრობლემებს, აგროვებენ კათედრების წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს, თანამშრომლობენ სკოლის დირექციასთან და მონაწილეობას იღებენ სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის კათედრები და ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო აქტივობებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა, სიახლეების გაცნობა და გადაწყვეტილების მიღება ხდება კლასებისა და საერთო კრებებზე. სკოლას შექმნილი აქვს გვერდი სოციალურ ქსელში Faceebok-ზე, აქ და სკოლის ვებგვერდზე ზიარდება სკოლაში ჩატარებული აქტივობები. სკოლას სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქვს მშობელთა კრებებზე სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის გაცნობა მშობლებისთვის. სკოლაში არსებობს, სასკოლო საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის სხვადასხვა ფორმა: ელექტრონული გამოკითხვა/ანკეტირება და ზეპირი/სიტყვიერი ფორმა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
2. სკოლის შეფასების კითხვარი;
3. მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვის დოკუმენტები;
4. კათედრის სხდომების ოქმები;
5. პედსაბჭოს ოქმები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ შემუშავებული საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში, ძირითადად, გაწერილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია ქვეცნებები, რომლებიც გამოყოფილ საკითხებს ან საკითხთა კლასტერს უკავშირდება. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია სასწავლო რესურსები, ასევე შუალედური სასწავლო მიზნები - შემოქმედებითი დავალების ან/და სასწავლო პროექტების იდეების სახით. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმების ჩარჩოებში ზოგან არის ასახული კონტექსტ- მაგალითი, რომელიც ეხმარება მოწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს შემოქმედებითი დავალებების შინაარსი, აგრეთვე რიგ ჩარჩოებში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები და უზუსტობები **რჩევა** *<u>დაწყებით საფეხურის</u> **ბუნებისმეტყველების** მე-2 კლასის კურიკულუმის თემაში „ხმელეთი, როგორც გარემო“ და მე-4 კლასის თემაში ციკლური მოვლენები გაიწეროს*

	კონტექსტმაგალითები, შემოქმედებითი დავალების იდეა და მაგალითები შედარებისათვის ასევე მე-5 კლასში თემაში „კოსმოსი „ და მე-6 კლასის თემაში „ნარევები და ნაერთები“ *<u>საგაზო საფეხურზე</u> ყველა საგნის კურიკულუმში უნდა იყოს კონტექსტ მაგალითები, შემოქმედებითი დავალების იდეა და მაგალითები შედარებისათვის, **ქიმიაში** მე-8 კლასში ყველა თემაში „წყალი“ „ხსნარები“, **ბიოლოგიაში** მე- 8 კლასის თემებში “ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა“, „ნივთიერების მიმოცვლა და ტრანსპორტი“ მე-9 კლასის რეპროდუქციული სისტემა, სახეობა და პოპულაცია“* ***ფიზიკა** მე-7 კლასი- სვეტში, მაგალითები შედარებისთვის სასურველია იყოს მოკლე, საკითხის გააზრებისთვის საჭირო და არა კითხვები, როგორც არის. მე-6 სვეტში გასასწორებელია ინგლისური შრიფტი. მე-8 კლასის კურიკულუმი ვერ ფარავს ცნებას „ „მოძრაობა და ცვლილება“. როგორც მე-8 , ისე მე-9 კლასისს აკლია სვეტი -მაგალითები შედარებისთვის.* *<u>საშუალო საფეხურზე</u> **ქიმია** მე-11 კლასი თემაში „არაორგანული ნაერთების მნიშვნელოვანი წარმომადგენლები დასამატებელია შუალედური დავალება რაიმე ფორმით. მე-12 კლასში შუალედურ დავალებად „მსჯელობა ზეპირი ფორმით“ ვერ იქნება შეფასებული კრიტერიუმების გარეშე , რომელიც უნდა იყოს წარმოდგენილი* ***ფიზიკა** მე-10 და მე-11 კლასის კურიკულუმებში შესავსების სვეტი მაგალითები შედარებისთვის, მე-11 კლსში დასამატებელია სავალდებულო თემა „რხევები და ტალღები“. მე-12 კლასის კურიკულუმსი ჩასასწორებელია კლასი (წერია 10)* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე გამოკვეთილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შექმნის პროცესში,რაც პედაგოგებმა აღნიშნეს შეხვედრის დროს. სასწავლო მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. შუალედური სასწავლო მიზნების მიღწევა დასტურდება განხორციელებული პროექტებით.მასწავლებლებმა შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ შუალედური მიზნები და სასწავლო შინაარსი ეყრდნობა მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს და შესაძლებლობებს.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმები ყველა შესაბამის საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.გასაუბრების შედეგადაც დასტურდება, რომ მასწავლებელი კურიკულუმის დაგეგმვის, აქტივობების მოდიფიცირებისათვის ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია გადაიხედოს უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმების ფორმა და ყველა საგნისათვის შემუშავდეს ერთი და იგივე .
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმი ერთიანობაში ორიენტირებულია მოსწავლის უნარების მაქსიმალურ გამოვლენასა და განვითარებაზე. სასწავლო პროცესი თანამიმდევრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებისკენ, რაზედაც მეტყველებს ესთეტიკის კათედრის მიერ შემუშავებული მუსიკისა და სახვითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმები; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კლასების კურიკულუმის ჩარშოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები. **საბაზო საფეხურზე კურიკულუმის ჩარჩოებში შევსებული და წარმოდგენილი აქვთ 2-2 კომპლექსური ტიპის დავალება მასწავლებლებმა თავად გააჟღერეს, რომ სამიზნე ცნებების, სავალდებულო თემატური ბლოკისა და სავალდებულო ნაწარმოებების დასაფარად საკმარისი არ არის განაცხადის წარდგენიდან ვიზიტამდე გააგრძელეს კურიკულუმის ჩარჩოებზე და 2025-2026 წლისთვის სრულად შეავსებენ.** რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით რამდენიმე თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ

	კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. შედარებით მკრთალად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე თითეული მასწავლებელი ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს. **რჩევა:** დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში დასახვეწია ,,საკითხის“ და ,,დავალების პირობის“ გრაფა. სასურველია, საგნობრივი ჯგუფი I-IV კლასების ფარგლებში შეთანხმდეს კურიკულუმის ერთიან დიზაინზე. კურიკულუმში შესაბამის გრაფა დაასათაუროს, როგორც ,,დავალების იდეა“, ,,დავალების პირობა“ ან ,,შუალედური მიზანი“ *საბაზო საფეხურის მასწავლებლებს ვურჩევთ: 2026-2027 სასწავლო წლისთვის გააგრძელოს კურიკულუმის დახვეწაზე მუშაობა. კურიკულუმის პირველადი ვერსიები სახელმძღვანელოს სარჩევის შთაბეჭდილებას ტოვებდა.* სასურველია, სახელმწიფო ენის კურიკულუმებში გრაფის სახელწოდება ,,კომპლექსური ბუნების დავალება“ შეიცვალოს ტერმინით **შუალედური მიზანი.** საბაზო საფეხურზე ნათლად გამოკვეთოს შემდეგი მოთხოვნები: სამიზნე ცნებები, თემატური ბლოკი, სავალდებულო ნაწარმოებების შესწავლის საკითხი. კონტექსტმაგალითების გრაფაში ძირითად კონტექსტმაგალითად ხშირ შემთხვევაში ჩამოწერილია 5-4 ნაწარმოები, რაც არარელევანტურია. ძირითადი კონტექსტმაგალითი უმეტესად არის ერთი ნაწარმოები, რომელსაც უშუალოდ ეფუძნება დავალება. დავალების პირობაში მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს სამიზნე ცნება/ცნებები. სასურველია, კურიკულუმში თემატური ბლოკების მიხედვით გაიფილტროს სამიზნე ცნენები და დარჩეს მხოლოდ ის გრძელვადიანი მიზნები, რომელსაც რეალურად ფარავს დავალება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი მათემატიკის სასკოლო კურიკულუმები სრულად ასახავს კონსტრუქტივისტულ და მოსწავლეზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო მიდგომას.

	სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, როგორც აქტიური მკვლევარი და ცოდნის კონსტრუირების სუბიექტი. კურიკულუმში ეს პრინციპი რეალიზებულია **კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებების** ფართო ინტეგრაციით, რომლებიც ორიენტირებულია არა ცოდნის მექანიკურ დამახსოვრებაზე, არამედ რეალურ, ცხოვრებისეულ კონტექსტში მის გამოყენებაზე: • **I-II კლასები:** გეომეტრიული ფიგურებისა და სივრცითი აზროვნების განვითარება ხდება შემოქმედებითი აპლიკაციების შექმნით („პეპელა, ფუტკარი და მოუსვენარი გეომეტრიული ფიგურები“, „ვინ არის მათემატიკური სახლის ბინადარი“). მოსწავლეები თვალსაჩინოდ ხედავენ მათემატიკურ მოდელებს და თამაშის/ხელოვნების ელემენტებით იაზრებენ ფიგურების თვისებებს. • **III-IV კლასები:** პრაქტიკული და პროექტული სწავლება ღრმავდება დროისა და მონაცემთა მართვის მიმართულებით — „ჩემი წარმატებული დღის განრიგი“ (III კლ.), სადაც მოსწავლე საკუთარ დროს გეგმავს და გამოსახავს დიაგრამის სახით, და „ახალგაზრდა მეტეოროლოგი / ამინდის დაკვირვება“ (IV კლ.), სადაც ხდება რეალური მონაცემების შეგროვება, სისტემატიზაცია და ანალიზი. • **V-VI კლასები:** პრაქტიკულ-გამოყენებითი დავალებები გადადის სოციალურ და სპორტულ კონტექსტში — „მოგზაურობა საქართველოს ქალაქებს შორის / ტრანსპორტის განრიგი“ (V კლ.) და „სპორტული ჩემპიონატის ტაბლო“ (VI კლ.). • **VII-XII კლასები:** მაღალ საფეხურზე ყურადღება მახვილდება ლოგიკურ, ფინანსურ და კვლევით უნარებზე — „პაროლის შექმნა და გამოცნობა“ (VII კლ.), „საოჯახო ბიზნესი და ხარჯთაღრიცხვის გეგმა“ (VIII კლ.), „მიუწვდომელ მანძილამდე სიმაღლისა და მანძილის დადგენა“ (IX კლ.) და „ადამიანის ფიზიკური მონაცემების სტატისტიკური კვლევა“ (X კლ.). დავალებები ხელს უწყობს მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, ვინაიდან მოსწავლეებს მოეთხოვებათ არა მხოლოდ საბოლოო პასუხის მიღება, არამედ განვლილი გზის, არჩეული სტრატეგიისა და ლოგიკური მსჯელობის პრეზენტაცია და დასაბუთება.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმები დაფუძნებულია ესგ ს და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებებზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. 4 და 5 კლასის კურიკულუმში იყო ტექნიკური შეცდომები, რაზეც გასაუბრების დროს მასწავლებლებს გავუწიე რეკომენდაცია, ისინი მიხვდნენ და აღნიშნეს, რომ აუცილებლად შეასწორებდნენ კურიკულუმს **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის საფუძველს. ამასთან, მათი შემდგომი დახვეწისთვის მიეცა **რჩევა :** სასურველია, თემა და ცნება მკვეთრად გაიმიჯნოს, სამიზნე ცნება და ქვეცნება მკაფიოდ განისაზღვროს, საგნის ძირითადი მიმართულებების და დავალების პირობის სრულად აისახოს. . **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების განხორციელებისას მასწავლებლებს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქვთ შემოქმედებითი დავალებებით სწავლება. მოცემულ **ბუნებისმეტყველების,მათემატიკისა და ქართული ენის** პირველი, მე-2, მე-3, მე-4 კლასების კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილია სტანდარტით გათვალისწინებული

	სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია რესურსები, აგრეთვე, კურიკულუმების ჩარჩოებში ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები, შემოქმედებითი დავალების იდეების სახით. აღსანიშნია, რომ რიგ კურიკულუმის ჩარჩოებში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები და უზუსტობები, ამიტომ, **სკოლას ეძლევა რჩევა:** **პირველი კლასის ბუნებისმეტყველების,ქართული ენისა და მათემატიკის კურიკულუმში** გასწორდეს სამიზნე ცნებები, გასწორდეს სავალდებულო თემების რაოდენობა და დასახელება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების საბუნებისმეტყველო საგნების -ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის კლასების კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების საგნების საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, კურიკულუმებში ასახული შუალედური მიზნები, აგრეთვე საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი კურიკულუმებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, სასწავლო პროცესი სამიზნე ცნებებზეა ორიენტირებული. სამივე საფეხურის კურიკულუმებში ასახულია სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, ძირითადი საკითხები, კონტექსტ მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის და სასწავლო რესურსები. გარდა ამისა, წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალებები

	ხელს უწყობენ ისეთი გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორებიცაა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, კრეატიულობა და სხვ. **რჩევა**: *საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავდეს ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოს სტრუქტურასთან, მათ შორის, შუალედური მიზნის ფორმულირებასთან დაკავშირებით.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმის ცხრილებში ძირითად შემთხვევებში სწორად არის გაწერილი სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული თემები და სამიზნე ცნებები. კურიკულუმო ორიენტირებულია მოსწავლეებში გლობალურ -ფუნქციური უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმები შესაბამისი საფეხურების მიხედვით, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი, კურიკულუმის შინაარსით, შიგთავსის შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფლებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის კურიკულუმი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესრულებას და მიმართულია მოსწავლეთა ცოდნის,

	უნარებისა და ღირებულებების განვითარებისკენ. კურიკულუმი ქმნის პირობებს სასწავლო შედეგების მიღწევისა და მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა შეესაბამება**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებში გლობალური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით ააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რა კავშირია კურიკულუმსა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს შედეგებსა და XXI საუკუნის ისეთი უნარებ შორის, როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს,რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს. სკოლაში სამოქალაქო განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ დაარსებულია სასკოლო კლუბები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებში 21- ე საუკუნის კომპეტენციების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კურიკულუმი მკაცრად უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მათემატიკის სტანდარტის მოთხოვნებთან თავსებადობას. ყველა კლასის თემატური მატრიცა აგებულია სამ ძირითად, გრძელვადიან **სამიზნე ცნებასა** და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე: 1. **მათემატიკური მოდელი:** მოსწავლეები სწავლობენ რეალური სამყაროს მოვლენებისა და ობიექტების მათემატიკურ ენაზე თარგმნას (რიცხვები, გამოსახულებები, განტოლებები, გეომეტრიული ფიგურები, დიაგრამები, ფუნქციური დამოკიდებულებები).

	2. **კანონზომიერება:** გაწერილია სიდიდეებს შორის დამოკიდებულებების, ალგებრული გარდაქმნების, თვლასა და ანგარიშში წესების აღმოჩენისა და გამოყენების საკითხები (მათ შორის, პროგრესიები, ფუნქციები, გეომეტრიული გარდაქმნები). 3. **ლოგიკა (მსჯელობა, დასაბუთება):** თითოეულ თემატურ ერთეულში ჩაშენებულია ანალიზის, კლასიფიკაციის, ვარაუდის გამოთქმისა და თეორემების/დებულებების დამტკიცების კომპონენტები (განსაკუთრებით გამოკვეთილია X კლასის „ლოგიკის ელემენტების“ თემაში). შინაარსობრივად დაფარულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა შინაარსობრივი ხაზი; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმასა და საგნობრივი საფეხურეობრივი სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად. ითვალისწინებს საგნის ზოგად მიზნებს, სამიზნე ცნებებს, საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგს. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისკენ და ორიენტირებულია პრაქტიკული, შემოქმედებითი და ციფრული უნარების განვითარებაზე. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრაქტიკული და პროექტული აქტივობები, ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. მასწავლებლებმა წარმოადგინეს

	შემოქმედებითი დავალების პროდუქტები, განხორციელებული პროექტები, ღონისძიებები რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს კრიტიკულ და შემოქმედებითი აზროვნებას. სკოლის მიერ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პერველი, მე-2, მე-3, მე-4 კლასების კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, კურიკულუმებში ასახული შუალედური მიზნები, აგრეთვე, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს დამატებით გადმოგზავნილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოთ აღნიშნული რესურსები ასახულია ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის კურიკულუმის ჩარჩოებში. ეს რესურსები მოიცავს: ძირითადი რესურსის სახით გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს (უმეტეს შემთხვევაში შესაბამისი გვერდების მითითებით), დამატებითი რესურსების სახით - მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსების ბმულებს, ტელესკოლის, ვირტუალური ლაბორატორიები, სხვა ინტერნეტ-რესურსებს, ლინკების (წვდომის) ჩვენებით. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ბმულები არ იხსნება.

	აღსანიშნავია, რომ ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის სწავლება შეუძლებელია ექსპერიმენტების გარეშე, ამიტომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების კურიკულუმის ჩარჩოებში, სასწავლო რესურსების სვეტში აუცილებელია მკაფიოდ აისახოს ცდები ან/და ექსპერიმენტები. ამიტომ სკოლას ეძლევა **რჩევა**: საბაზო საფეხურზე ბიოლოგიის, ფიზიკის მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმებში; საშუალო საფეხურის ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის მე-10, მე-11 კლასების კურიკულუმებში; სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ აისახოს რეალური ან/და, ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განსაზღვრონ დასახელება, მისი სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო საშინაო და სხვა) და ნუმერაცია. განაახლონ ბმულები ყველა საფეხურზე (მაგ: მე-5 კლასის ბუნებისმეტყველების, მე-8 კლასის ფიზიკის) კურიკულუმში მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელოს სრული დასახელება. დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა და აკადემიური სტილი სრული რეკვიზიტების - სახელმძღვანელოს დასახელების, ავტორი/ავტორების, გამომცემლობის, გამოცემის წლის მითითებით; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, ძირითადად ელექტრონული უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან რესურსების იქნება ეს მატერიალური თუ ელექტრონული, იმისათვის , რომ მოსწავლეებმა შეძლონ ხალისით და მოტივაციით აითვისონ შესაბამისი მასალა.გარდა აღნიშნული პრაქტიკისა ყველა საგანში და შესაბამის საფეხურზე კურიკულუმში აღნიშნული სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. **რჩევა:** სასურველია ყველა საგნის კურიკულუმში მითითებული იყოს სასწავლო რესურსი, მაგალითად თუ იყენებთ ძირითად რესურსს/ წიგნს მიეთითოს გვერდი და არ დარჩეს თავისუფალი.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში სასწავლო რესურსად განსაზღვრულია სახელმძღვანელოები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული დამხმარე ელექტრონული რესურსები (მასალები). ასევე მოცემულია სხვადასხვა მოწყობილობებით ანიმაციური, აუდიო და ვიდეო მასალების გამოყენების დამადასტურებელი ფოტო მასალა, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.ინტერვიუს შემდეგხელოვნების და მუსიკის პედაგოგების მიერ გადმოიგზავნა კიდევ დამატებითი რესურსები,რომელსაც საგაკვეთილო პროცესში იყენებენ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე კლასების მიხედვით მითითებულია კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსების ბაზა მდიდარი, მრავალფეროვანი და თანამედროვეა. სწავლის შედეგების ეფექტურად მისაღწევად გამოყენებულია რესურსების სამი ძირითადი კატეგორია:

	1. **ძირითადი ბეჭდური რესურსი:** გრიფირებული სახელმძღვანელოები შესაბამისი კლასების მიხედვით (ავტორები: კელერი, პფაფი; ა. საგინაშვილი, ლ. ბექაური), მოსწავლის სამუშაო რვეულები და სავარჯიშოთა კრებულები. 2. **ციფრული და ელექტრონული რესურსები:** ○ *ვიდეო გაკვეთილები:* პირველი არხის „ტელესკოლის“ გაკვეთილების პირდაპირი ბმულები თითოეულ თემაზე; ○ *საერთაშორისო და ეროვნული საგანმანათლებლო პლატფორმები:* Khan Academy (ხანის აკადემია) ქართულენოვანი რესურსები, PhET ინტერაქტიული სიმულაციები (მაგ., ფიზიკურ-მათემატიკური მოდელირება X კლასში), Wordwall ინტერაქტიული სავარჯიშოები და საგანმანათლებლო პორტალები el.ge და math.ge. 3. **თვალსაჩინოებები და საკონსტრუქციო მასალები:** ○ დაწყებით საფეხურზე აქტიურად გამოიყენება საანგარიშო ბორბალი/კედელი/სამკუთხედი, ასეულის დაფა/ველი, ტანგრამის ფიგურები, სარკეები, საძერწი მასალა, საწრუპები, სათვლელი ჩხირები და სივრცული ფიგურების შლილები. ○ გაზომვების თემატიკაში ჩართულია რეალური ხელსაწყოები: სასწორი, სახაზავი, საზომი ჭურჭელი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმის შედგენისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ არსებული, მატერიალური რესურსით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადასხვა სახეობების მიხედვით. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგად განმავითარებელი ვარჯიშებით და ელექტრონული რესურსი ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. ინტერვიუსას დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა ციფრულ რესურსებს, როგორიცაა: Canva-ს, Scratch-ის, Sway-ისა და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, განათლების სამინისტროს მოწოდებული და ინტერნეტ რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოთ აღნიშნული რესურსები ასახულია დაწყებითი **საფეხურის** საგანმათლებლო პროგრამის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 კლასების კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში. აღსანიშნავია, რომ **ბუნებისმეტყველების საგნის** სწავლება შეუძლებელია ექსპერიმენტების და ცდების გარეშე, ამიტომ საბუნებისმეტყველო საგნის კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოებში, სასწავლო რესურსების სვეტში აუცილებელია მკაფიოდ აისახოს ვირტუალური ან/და ვიდეო ან/და **მარტივი** რეალური (ცოცხალი) ექსპერიმენტები და ცდები ამიტომ, სკოლას ეძლევა რჩევა: **სკოლის დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ ასახონ მარტივი რეალური ან/და ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განისაზღროს დასახელება, სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო) და ნუმერაცია.**

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებზე. საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები, შესაბამისად დაგეგმონ საგაკვეთილო პროცესი და მოარგონ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, თუმცა ასეთი მკაფიო ტენდენცია არ იკვეთება შემაჯამებელი, დიაგნოსტიკური დავალებების მიმართ, ამიტომ სკოლას ეძლევა **რჩევა:** *საბაზო და საშუალო საფეხურის ბუნებისმეტყველების (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საგნების შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას ამ ეტაპზე არ ყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	პედაგოგებთან გასაუბრებისა და კურიკულუმების კომპონენტების შინაარსიდან გამომდინარე(დალებები, რესურსები, სწავლების მიდგომები, შეფასება), შეგვიძლია

	დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. არსებული სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს მრავალფეროვან სხვადასხვა მოდალობებით აღქმაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. ასევე აღნიშნული დასტურდება რემედიაციის მექანიზმში არსებული შინაარსითაც , რომელიც უზრუნველყოფს სწავლების დიფერენცირებული მიდგომის მხარდაჭერას. დაწესებულებაში ასევე მოქმედეს ინკლუზიური განათლების განხორციელების მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში სასწავლო პროცესი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე, ინკლუზიურია და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას. სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს. აღნიშნული მიდგომები ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, შუალედური მიზნებზე მუშაობისას ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ მოდიფიცირებას. ასევე, აქვთ ინდივიდუალური გეგმით მუშაობის გამოცდილება. გასაუბრებისას წარმოადგინეს სპეცმასწავლებელთან ერთად შემუშავებული ინდ.გეგმა ასევე ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით აკეთებენ კურიკულუმის ადაპტირებას, მსგავსი ტიპის გამოცდილება დოკუმენტის სახით დასტურდება სხვადასხვა დოკუმენტებში მაგ; ინკლუზიური განათლების კონცეფცია. გაწერილი აქვთ ინდ. გეგმის შემუშავების ზოგადი პროცედურები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კურიკულუმში ჩაშენებული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სწავლების ინკლუზიურობას და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა

	და სწავლის სტილს (ვიზუალური, აუდიტორული, კინესთეტიკური, ლოგიკურ-მათემატიკური): • **დიფერენცირებული დავალებები:** კომპლექსური დავალებების სტრუქტურა იძლევა საშუალებას, მოსწავლემ ნამუშევარი წარადგინოს მისთვის მოსახერხებელი ფორმით (ნახატი, აპლიკაცია, პოსტერი, ციფრული პრეზენტაცია, ცხრილი, მოდელი). • **მრავალდონიანი შეფასება:** წარმოდგენილ განმავითარებელ შეფასების რუბრიკებში (მაგ., II და III კლასებში) მკაფიოდ არის გაწერილი მიღწევის დონეები (მაღალი, საშუალო, დაბალი), რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს, თითოეულ მოსწავლეს მისცეს ინდივიდუალური, პროგრესზე ორიენტირებული წერილობითი თუ ზეპირი უკუკავშირი. • **სხვადასხვა სირთულის რესურსები:** სახელმძღვანელოს ძირითად ტექსტთან ერთად, ელექტრონული რესურსების (ტელესკოლა, Khan Academy) არსებობა იძლევა საშუალებას, მასალის ათვისება მოხდეს როგორც დამატებითი მხარდაჭერის (საჭიროებისას ვიდეოს მრავალჯერადი ყურება), ისე გაფართოებული/სიღრმისეული სწავლების რეჟიმში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	საგანში არ ჰყავთ სსსმ მოსწავლე. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, თუ ეყოლებათ სსსმ მოსწავლე აუცილებლად შეადგენენ მასზე მორგებულ შესაბამის ინდ გეგმას. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებელია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მოსწავლეთა საჭიროებებზე რეაგირებას. სკოლაში რემედიაციის პრაქტიკა ხელს უწყობს მოსწავლეთა დამატებით მხარდაჭერას. მასწავლებელს არ წარმოუდგენია ისგ გეგმა, ინტერვიუსას აღნიშნა, რომ არ აქვს პრაქტიკა სსსმ მოსწავლესთან მუსაობის, რადგან არ ჰყოლია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), კურიკულუმში თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. პედაგოგებთან გასაუბრებამაც დაადასტურა, რომ მასწავლებლები მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები. საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები ახორციელებენ არატიპიური მოსწავლეების სწავლებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. აღსანიშნია ის, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში, როგორიც არის შემოქმედებითი ბუნების დავალეებები არ იკვეთება მკაფიო ტენდენცია დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომების მიმართ, ამიტომ სკოლას ეძლევა რჩევა: **დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის , საგნების შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.** **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის I თავის - „სწავლა სწავლების პროცესის ორგანიზების კონცეპტუალური და ადმინისტრაციული საკითხების“ მე-7 მუხლით განსაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემის პრინციპებს,

	მიზნებსა და ამოცანებს. სკოლის პედაგოგები შეფასებისას იყენებენ მრავალფეროვან შეფასების ტიპებს: დიაგნოსტიკური, განმსაზღვრელი და განმავითარებელი; გამოიყენებენ ანალიტიკურ, ჰოლისტურ შეფასების რუბრიკებს, აგრეთვე შეფასების კრიტერიუმებისათვის მიმართავენ სოლო ტაქსონომიის მოდელს, თუმცა არასრულად წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები თემების მიხედვით. სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების მიხედვით, უპრიანი იქნებოდა, საბუნებისმეტყველო საგნებისათვის შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებიდან მიმართებით სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ასახვა იმ კონტექსტ მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი - კონკრეტული შემოქმედებითი ხასიათის დავალება. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სკოლას ეძლევა **რჩევა:** *სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამაში სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად შემუშავდეს საბუნებისმეტყველო საგნებისათვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები* *საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამაში ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საგნებისათვის შექმნან შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, რომელშიც შეფასების კრიტერიუმები ორიენტირებული იქნება საბაზო და საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო - ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის საგნების სამიზნე ცნებებზე.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლამ ნაწილობრივ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა შექმნან კონკრეტულ დავალებას მორგებული შეფასების სქემები.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	მოსწავლის შეფასების სისტემა, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნული დასტურდება შეფასების მექანიზმით,

	შეფასების რუბრიკებით, რომელთა ვალიდაცია ვერიფიკაციასაც ახდენს დაწესებულება. ყველა საგნის მასწავლებელი იყენებს როგორც განმსაზღვრელს, ასევე განმავითარებელ შეფასებას. განმსაზღვრელი შეფასება ეფუძნება სოლო ტაქსონომიას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** კურიკულუმებში სადაც არ არის შეფასების კრიტერიუმები დაკონკრეტებული,გადაიხედოს და გამოიკვეთოს დეტალურად, რათა უფრო ცხადი გახდეს მოსწავლისათვის კონკრეტული მიზნის მიღწევა რა კრიტერიუმით განისაზღვრება.
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა სასწავლო პროცესის ორგანულ ნაწილადაა მოაზრებული, რომლის მეშვეობითაც მოსწავლესთან ეფექტური უკუკავშირი მყარდება, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასებაც, ასევე განმავითარებელი შეფასებისას ეყრდნობიან საკმაოდ კონსტრუქტიულ პრინციპებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** **რჩევა-** სასურველია კარგად დამუშავდეს დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,ჩანდეს ორიენტაცია კონკრეტული საფეხურის(დაწყებითი)ცნებებსა და ქვეცნებებზე.ეხება მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმებს).
სახელმწიფო ენა	საფეხურის მიხედვით წარმოდგენილი იყო რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც იყო უზუსტობები, თუმცა საბოლოო ჯამში განმავითარებელი შეფასება მიემართებოდა

	გრძელვადიან მიზნებსა და ძირითად მეთოდიკურ ორიენტირებს; V-VI კლასების დონეზე ბუნდოვანი დარჩა განმსაზღვრელი შეფასების საკითხი. I -IV კლასებში განმავითარებელი შეფასება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმი შესაბამისად. რაც შეეხება V-VI კლასების მოსწავლების მიღწევები ფასდება, როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით. მეტნაკლებად გამოიკვეთა, როგორ შეიმუშავებს კათედრები განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და ეფუძნება, თუ არა იგი გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლები შედეგების ანალიზის საფუძველზე ხედავენ შეფასების სისტემის ცვლილების აუცილებლობას. სკოლა მშობელთა თანხმობითა და პედაგოგიური კოლექტივის მაქსიმალური მხარდაჭერით სკოლამ სასკოლო საზოგადოების ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით აპირებს შეფასების სისტემის განახლებას . მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლეებს განმსაზღვრელი შეფასებით აფასებენ სამიზნე ცნებების მიხედვით **რჩევა:** სასურველია, შეფასების რუბრიკებში უფრო მკაფიოდ გამოკვეთოს, რომელ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს მიემართება შეფასება. I -IV კლასებშ განმავითარებელი შეფასების, ხოლო V-VI კლასების დონეზე, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი. ორივე ტიპის შეფასების რუბრიკა კონკრეტულ შუალედურ მიზანსა დ კონტექსტმაგალითებზე უნდა იყოს მორგებული. ამ კუთხით სკოლამ აქტური მუშაობა უნდ გააგრძელოს. სასურველია, საგნობრივმა ჯგუფმა საბაზო საფეხურზე დახვეწოს როგორც განმავითარებელი, ასევე, განმსაზღვრელი და შემაჯემებელი სამუშაოების შეფასების რუბრიკები: უნდა დააკონკრეტოს შუალედური მიზნის, კონკრეტული ნაბიჯ-კრიტერიუმებისა და შესასწავლი სავალდებულო ნაწარმოებების მიხედვით. სასურველია, საგნობრივმა ჯგუფმა საშუალო საფეხურზე როგორც განმავითარებელ ასევე, განმსაღვრელ შეფასების რუბრიკებში დააკონკრეტოს, რომელ გრძელვადიან მიზანს მიემართება შეფასება. საგნობრივმა ჯგუფმა მკაფიოდ უნდა გამოკვეთოს, თუ რა ფორმით შეიმუშავებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს და როგორ დაეფუძნებიან გრძელვადიან მიზნებს. სამომავლოდ აუცილებლაად უნდა შეიმუშავონ შეფასების მრავალფეროვანი ჰოლისტური სისტემა.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	შეფასების სისტემა სრულად იზიარებს ესგ-ის მოთხოვნას — შეფასება იყოს განმავითარებელი, უწყვეტი და ხელს უწყობდეს მოსწავლის აკადემიურ ზრდას. კურიკულუმის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების ბარათებისა და რუბრიკების კონკრეტული ნიმუშები: • **კრიტერიუმების დაკავშირება სამიზნე ცნებებთან:** შეფასების კრიტერიუმები პირდაპირ გამომდინარეობს სამიზნე ცნობებიდან („მათემატიკური მოდელი“, „კანონზომიერება“, „ლოგიკა“). მაგალითად, II კლასის აპლიკაციის დავალებაში ფასდება: 1. რეალური ობიექტის მოდელად გარდაქმნა (მათემატიკური მოდელი); 2. ზომისა და ფერის წესის დაცვა (კანონზომიერება); 3. ფიგურების შერჩევის არგუმენტირება და შედარება (ლოგიკა). • **კონსტრუქციული უკუკავშირი:** შეფასების ბარათის ნიმუშში დეტალურად არის ნაჩვენები, თუ როგორ უნდა მიეწოდოს მოსწავლეს უკუკავშირი: ორ კომპონენტად გამოყოფილია **„რა გამოვიდა კარგად (ძლიერი მხარეები)“** და **„რეკომენდაცია (განვითარების გზა)“** **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ყველა მათგანი ემყარება საგნობრივ სტანდარტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა : სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკები შეადგინონ კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის მიხედვით.** **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების კურიკულუმები ძირითადად ორიენტირებულია მოსწავლეზე და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში იდენტიფიცირებული იყო რამდენიმე საკითხი, რომელიც საჭიროებდა დახვეწას: რიგ შემთხვევებში ერთმანეთში იყო არეული თემა და ცნება; მკაფიოდ არ იყო გამიჯნული სამიზნე ცნება და ქვეცნება; არ იყო მითითებული საგნის ძირითადი მიმართულებები; თითქმის ყველა კურიკულუმში გამოტოვებული იყო დავალების პირობა. ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა შესაბამისი **რჩევები,** მათ შორის, თითოეულ თემას ახლდეს ერთი მთავარი, პროექტული ტიპის დავალება, რომელიც მოსწალისგან მოითხოვს კონკრეტული პროდუქტის შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), კურიკულუმში მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები ნაწილობრივ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ განმავითარებელი შეეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით გასაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. პედაგოგები დიაგნოსტიკური შეფასების გარდა, უმეტესად იყენებენ ანალიტიკურ რუბრიკებს, რომლებიც არ არის მიმართული საფეხურის სამიზნე ცნებებისაკენ ამიტომ, სკოლას ეძლევა რჩევა: **დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის საგნებისათვის სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მოამზადონ დაწყებითი საფეხურის შერჩეული თემების ან/და საკითხების/ქვესაკითხების მიმართებით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;**

	დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის საგნებისთვის შეიქმნას შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები, ორიენტირებული იქნება საგნის სამიზნე ცნებებზე. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- კომპლექსური დავალების ბარათები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა
- მოსწავლეთა ნამუშევრები; ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან და სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე. საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგებთან ინტერვიუდან და დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის შედეგად ირკვევა, სასწავლო პროცესის ფარგლებში მოსწავლეები ქმნიან განსხვავებულ შემოქმედებით პროდუქტებს - პრეზენტაციებს, მოხსენებებს, მოდელებს, პოსტერებს, ნახატების ალბომებს, და ა.შ., ხდება შესრულებული დავალების განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასება რუბრიკებით და შეფასების ანალიზი; არსებობს კათედრაზე მასწავლებლების მიერ აზრთა ურთიერთგაზიარება, ურთიერთდასწრების პრაქტიკა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობით პროცესს და საგანთაშორისი კავშირების გამოვლენას, რაც ხელს უწყობს შესწავლილი საკითხების გამოყენების არეალის ზრდას. **რჩევა:** *სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წლიურ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულ იქნას და განხორციელდეს საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებისთვის ექსკურსიები საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების*

	მიხედვით, კურიკულუმის საკითხებთან მიმართებაში რელევანტურ საექსკურსიო ობიექტებზე; შემუშავდეს საექსკურსიო სასწავლო გეგმები როგორც, არამხოლოდ სოციალური პროექტები, აქცენტით საგნობრივ (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) ცოდნაზე; ჩვენი აზრით, თუ კლუბი უფრო დაინტერესებულ მოსწავლეებზე არის ორიენტირებული, ექსკურსიები უზრუნველყოფს კლასის თითქმის ყველა მოსწავლის ჩართვას, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ კათედრის წლიური გეგმა ითვალისწინებდეს ექსკურსიებს საბუნებისმეტყველო საგნებით მეტად დაინტრესების მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პოცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს,გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და ეფუძნება გრძელვადიან მიზნებს. ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ყველა საგნის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული დავალების ნიმუშის , კურიკულუმთან შესაბამისობიდან გამომდინარე , დადგინდა , რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წინასწარ შემუშავებული/დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა ეფუძნება სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის სისტემურ და თანმიმდევრულ განხორციელებას.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	საგნობრივი კურიკულუმის ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი ხედვა: სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.სამივე საფეხურის საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ, რეალიზებული შუალედური მიზანი და რეფლექსია მათზე. ასევე, აცნობიერებენ,რიმ ამ მხრივ საჭიროებენ განვითარებას. საბაზოს საფეხურზე გასათვალისწინებელია სავალდებულო თემატური ბლოკისა და ნაწარმოებების საკითხი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ მათემატიკის სწავლება I-დან XII კლასის ჩათვლით დაგეგმილია ვერტიკალური და ჰორიზონტალური უწყვეტობის დაცვით. კურიკულუმის თითოეული წლიური პროგრამა სტრუქტურირებულია ერთიან ფორმატში: • მკაფიოდ არის გაწერილი თემატური ბლოკები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები; • განსაზღვრულია საკითხთა კლასტერები და ქვესაკითხები; • მოცემულია ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებების იდეები; • თითოეულ საკითხს ახლავს შესაბამისი სასწავლო და დამხმარე რესურსი. სასწავლო თემების მიმდევრობა უზრუნველყოფს მარტივიდან რთულისაკენ პრინციპის დაცვას (მაგ. I-IV კლასებში რიცხვთა არეალის თანდათანობითი

	გაფართოება 20-დან მილიონამდე, ხოლო VII-XII კლასებში ალგებრული და გეომეტრიული ცნებების სიღრმისეული განზოგადება). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მოახერხებენ სასწავლო პროცესის წარმართვისას, სკოლის ბაზაზე არსებული, ინფრასტრუქტურის მიხედვით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (სასკოლო ფესტივალები), არაფორმალური განათლების მხრივ აქტივობებში ჩართონ მოსწავლეები და მშობლები. სასწავლო პროცესი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე - მოსწავლეების საფეხურის შესაბამის შედეგზე გასაყვანად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც გულისხმობს საგნობრივი თემების სისტემატიზაციას, აქტივობების დიფერენცირებას მოსწავლეთა საჭიროებებზე, რესურსებისა და ციფრული პლატფორმების გამოყენებას, ასევე პროცესის შედეგების დაკავშირებას კურიკულუმში განსაზღვრულ კომპეტენციებსა და სწავლების მიზნებთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება) სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, მიემართება გრძელვადიან მიზნებზე, კონკრეტულად კი სტანდარტით მისაღწევ შედეგებზე, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. პედაგოგებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება უნიკალურია და შესაბამისად გეგმავენ ცვლილებები შეიტანონ და უფრო მოქნილი გახადონ კურიკულუმები.

	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, დოკუმენტაციის და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა და მასწავლებელი მოქნილად რეაგირებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ საჭიროებებზე. სკოლაში ფუნქციონირებს რემედიაციის პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენასა და მათზე შესაბამისი მხარდაჭერის დაგეგმვას. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი რესურსები და დიფერენცირებული აქტივობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაციის საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლის საბუნებისმეტყველო საგნების (ბიოლოგია, ფიზიკა,ქიმია) შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. სკოლაში არსებობს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას: შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების, მიზანის და ამოცანების, პრინციპების, მიმართულებების, შეფასების სისტემის, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირების შესახებ. სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ საბაზო

	და საშუალო საფეხურის პროგრამაში დანერგილია შეფასების ვერიფიკაციის პროცესი, რომელიც აღწერილია შესაბამის ვერიფიკაციის დოკუმენტში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა სამივე საფეხურზე ცდილობს შეფასების სისტემა დააფუძნოს სანდოობის , ობიექტურობისა და ვალიდობის პრინციპზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების მექანიზმით, შესაბამისი საფეხურის მიხედვით, გათვალისწინებულია მოსწავლის, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი მეთოდებით შეფასება. დაწესებულებას აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი და წარმოდგენილია ასევე უცხო ენაში ვერიფიცირებული შეფასების რუბრიკები. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალი, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ასევე დაწესებულება ახორციელებს შემაჯამებელი შეფასების ანალიზს და აღნისნულთან დაკავშირებითაც წარმოდგენილია უცხო ენაში ჩატარებული სემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ სკოლაში სამივე საფეხურზე ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა. შეფასების სისტემა საკლასო და სასკოლო დონეზე შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ჰქონდეს ინფორმაცია მოსწავლის პროგრესის შესახებ სწავლის პროცესში, ასევე ეხმარება მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე და გააუმჯობესოს მიღწევები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. საბაზო საფეხურის, კლასებში წარმადგინეს რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც იყო უზუსტობები, თუმცა საბოლოო ჯამში განმავითარებელი შეფასება მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; ბუნდოვანი დარჩა განმსაზღვრელი შეფასების საკითხი. მასწავლებლები აცხადებდნენ, რომ განმავითარებელი შეფასება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმი შესაბამისად. V-XII კლასების მოსწავლების მიღწევები ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. მკაფიოდ არ არის მითითებული, როგორ შეიმუშავებს კათედრა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და როგორ დაეფუძნება იგი გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ შეეცდებიან მრავალფეროვანი ჰოლისტური შეფასების სისტემა შეიმუშავონ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმი არ არის ხისტი დოკუმენტი; მასში ჩადებულია მოქნილობისა და ადაპტირების მაღალი პოტენციალი: • **ალტერნატიული რესურსების სიმრავლე:** თითოეულ თემას ახლავს მრავალფეროვანი ელექტრონული ბმულები (ტელესკოლა, Khan Academy, PhET, Wordwall), რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს, ფორსმაჟორულ სიტუაციებში (მაგ., დისტანციური სწავლება) ან კლასის საჭიროებიდან გამომდინარე, მომენტალურად შეცვალოს ან შეავსოს ასახსნელი მასალის მიწოდების ფორმა. • **კომპლექსური დავალებების ვარიაციულობა:** დავალებების პირობები იძლევა საშუალებას, მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე, მოხდეს კონტექსტის მოდიფიცირება (მაგალითად, სპორტული, კულინარიული, არქიტექტურული ან ბუნებისდამცველობითი თემატიკის არჩევა). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტირების დოკუმენტები შემუშავებული ესგ ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების ზუსტ შეფასებას, შესაძლებელს ხდის პროგრესის მონიტორინგს და ზრდის შეფასების პროცესში ყველა მხარის ნდობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება) მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკებით. სკოლაში შემუშავებულია და დამტკიცებულია შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა შეფასების დაგეგმვის, განხორციელების პროცესისა და მტკიცებულებების შემოწმებასა და დასკვნის შემუშავებას. შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას.დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. კათედრებზე აქტიურად ხდება მასწავლებლებს შორის სასწავლო რესურსების ვალიდურობის გაზომვა, მისი მოდიფიცირება და განახლება. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი ს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლაში შემუშავებულია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა). სწავლის პროცესი ფასდება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებით. მშობელს მოსწავლის შეფასება რეგულარულად ეცნობება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. მოსწავლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციას სკოლა ახორციელებს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტით, პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციით. სკოლამ წარმოადგინა ვერიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. შესაბამისად სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდენილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა აანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

კანონდებლობის წესის დაცვით შენახულია მოსწავლის პირადი საქმეები. სკოლაში კათედრებზე შენახულია მოსწავლის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული შემაჯამებელი/შემოქმედებითი დავალებები. დირექტორის მოადგილესთან/ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან ინახება მასწავლებლების მიერ თითოეულ მოსწავლესთან მიღწეული შედეგების ანალიზი. სკოლა იცავს დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ძირითადი და დამხმარე რესურსებით. რესურსები მოიცავს: ძირითადი რესურსის სახით გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს, დამხმარე რესურსების სახით - მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებს: ტელესკოლის გაკვეთილებს, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმას, ვირტუალურ ლაბორატორიებს, სხვა ინტერნეტ-რესურსებს. მატერიალური და ელექტრონული რესურსები ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, ხელმისაწვდომია კომპიუტერები/ლეპტოპები, პროექტორი, უზრუნველყოფილია ინტერნეტზე წვდომა. რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. კურიკულუმების ნაწილი ითხოვს დამტებითი რესურსების შევსებას და მის გამრავალფეროვნებას, მაგალითად, ასახული უნდა იყოს ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, ვიდეო და ფოტო მასალები, სადემონსტრაციო ვიდეო ექსპერიმენტი, საგანმანათლებლო პლატფორმების რესურსები/ინტერაქტიული სიმულაციები, სპეციალურად შექმნილი მასწავლებლების რესურსები, მაგალითად, პრეზენტაციები, მოკლე თემატური რიდერები, სპეციალურად შექმნილი დიდაქტიკური მასალები (ცხრილები,

	გრაფიკული ხელსაწყოები), მეთოდური მითითებები, პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოების თანდართული დოკუმენტები (პროტოკოლები, ინსტრუქციები) და ა.შ. აქედან გამომდინარე, სკოლას ეძლევა **რჩევა:** *საბაზო და საშუალო საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნების კურიკულუმების ჩარჩოები შეივსოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსებით, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსებით, საგანმანათლებლო პლატფორმის რესურსებით, (მაგალითად, საგანმანათლებლო პლატფორმა CK-12 სიმულაციებით და სხვა), მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსებით და სხვა.* *გადაამოწმოს და ჩაასწოროს ელექტრონული გმულები, რომელიც არ იხსნება (მაგ. ბუნებისმეტყველებაში მე-5 კლასი, ქიმიაში- მე-10 კლასი, ფიზიკაში მე-7 კლასი...)* *სკოლამ საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში განიხილოს რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი წესი* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	რესურსები ხშირ შემთხვევაში შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ყველა უცხო ენის პედაგოგი შესაბამის საფეხურზე იყენებს გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, დამატებით კი ელ-რესურსებს, ასევე პოსტერებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები. აღნიშნული რესურსები შეესაბამება სასწავლო მიზნებს და

	ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებასა და მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე თითოეულ კლასში განსაზღვრულია ძირითადი რესურსი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. კლასების მიხედვით კურიკულუმში მითითებულია დამატებითი რესურსები. სახელმწიფო ენის საგნობრივ ჯგუფი სასწავლო წლის დასაწყისში ერთობლივად განიხილავენ და ათანხმებენ ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის ნუსხას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კურიკულუმში დეტალურად არის იდენტიფიცირებული და გაწერილი ყველა საჭირო სასწავლო რესურსი: • მითითებულია კონკრეტული გრიფირებული სახელმძღვანელოები ავტორების (კელერი, პფაფი; ა. საგინაშვილი, ლ. ბექაური), ტომების/ნაწილებისა და გვერდების მითითებით. • თითოეული საკითხისთვის მითითებულია მოსწავლის სამუშაო რვეულის შესაბამისი გვერდები და სავარჯიშოები. • გაწერილია კონკრეტული ელექტრონული მისამართები და ვიდეო-გაკვეთილები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება განსახილველ თემას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლა აქტიურად იყენებს ყველა საჭირო რესურს რაც ნათლად ჩანს სასკოლო კურიკულუმებში , რომელიც წარმოდგენილია ლინკების სახით. ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ და მიაღწიონ სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, ძირითადად იენებენ **school.emis.ge** პლატფორმას, ხოლო

	საჭიროების მიხედვით დამატებით გამოიყენება სხვა ციფრული პლატფორმები. ეს ხელს უწყობს სწავლების მრავალფეროვნებას, მოსწავლეთა ჩართულობას და კურიკულუმში გათვალისწინებული მიზნების ეფექტიან მიღწევას. **ინდიკატორის მოტხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ გამოყენებული **დაწყებითი საფეხურის** ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება და ხელს უწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი კანონმდებლობით დადგენილი წესით გრიფირებულია. მიუხედავად ამისა, კურიკულუმების ნაწილი დამატებით ითხოვს რესურების შევსებას და მის გამრავალფეროვნებას, მაგალითად, ასახული უნდა იყოს ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, ვიდეო და ფოტო მასალები, სადემონსტრაციო ვიდეო ექსპერიმენტი, საგანმანათლებლო პლატფორმების რესურსები / ინტერაქტიული სიმულაციები რესურსები, სპეციალურად შექმნილი მასწავლებლების რესურსები, მაგალითად, პრეზინტაციები, მოკლე თემატური რიდერები, სპეციალურად შექმნილი დიდაქტიკური მასალები (ცხრილები, გრაფიკული ხელსაწყოები), მეთოდური მითითებები, პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოების თანდართული დოკუმენტები (პროტოკოლები, ინსტრუქციები) და ა.შ. აქიდან გამომდინარე **სკოლას ეძლევა რჩევა:** **დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შეივსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსებით, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა, აგრეთვე, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა.** **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი ძირითადად რესურსთან ერთად უზრუნველყოფილია დამხმარე რესურსებით, რაც ფიქსირდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ (ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმებში; ინტერვიუს მსვლელობისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე ხორციელდება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა/განხილვა და დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია; სასწავლო რესურსების ვალიდაცია არის იმის შემოწმება და დადასტურება, რომ დამხმარე წყაროები (წიგნები, ინტერნეტ წყაროები, ვიდეოები და ა.შ.) აკმაყოფილებს დადგენილ მიზნებს, ხარისხის სტანდარტებს და მოსწავლეების რეალურ საჭიროებებს. სასწავლო პროცესში გამოიყენება ის დამხმარე რესურსების წყაროები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	რესურსები შეესაბამება სასწავლო მიზნებს, მეტნაკლებად დაცულია ვალიდურობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ რესურსების ვალიდაციაზე პასუხისმგებელია უცხო ენების კათედრა, დაწესებულებამ წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმი, სადაც განიხილებოდა რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელონ პედაგოგებმა დამატებითი რესურსების მომზადებისას და რა ვადებში უნდა წარმოადგინონ ვალიდაციისათვის კათედრაზე. ოქმში ასახული ვალიდაციის კრიტერიუმების გათვალისწინებითაც დასტურდება , რომ

	დაწესებულება უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას სასწავლო გეგმის მიზნებიდან გამომდინარე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან დასტურდება, რომ გამოყენებული რესურსები განხილული, შეთანხმებული და დადასტურებულია კათედრის წევრების მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე კლასების მიხედვით კურიკულუმში მითითებულია დამხმარე სასწავლო რესურსები. სახელმწიფო ენის საგნობრივ ჯგუფი სასწავლო წლის დასაწყისში ერთობლივად განიხილავენ და ათანხმებენ დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენების საჭიროებას და მიზანმიმართულებას. შემდგომში საგნობრივ ჯგუფის გადაწყვეტილებას წარუდგენენ სკოლის ადმისტრაციას დამხმარე სასწავლო რესურსების ნუსხა/ჩამონათვალის სახით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კურიკულუმში ინტეგრირებული დამხმარე რესურსები გადის შინაარსობრივ ვალიდაციას. გამოყენებულია მხოლოდ ისეთი პლატფორმები და წყაროები, რომლებიც აღიარებულია საგანმანათლებლო სივრცეში და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს: • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი პროექტი — **„ტელესკოლა“**; • საერთაშორისოდ აღიარებული საგანმანათლებლო პლატფორმის ქართულენოვანი ანალოგი — **Khan Academy Georgia**; • ოფიციალური საგანმანათლებლო პორტალი el.ge და სპეციალიზებული მათემატიკური დამხმარე პორტალი math.ge. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

სპორტი	სკოლაში არსებული რესურსები საჯაროა და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალისთვის. კურიკულუმში გაწერილი რესურსიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამის რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას (ციფრულ პლატფორმებზე წვდომა სკოლაში), რაც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან გამოყენებას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების მიზნობრივ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. კათედრებზე აქტიურად ხდება მასწავლებლებს შორის სასწავლო რესურსების ვალიდურობის გაზომვა, მისი მოდიფიცირება და განახლება. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **დაწესებულებას ეძლევა რჩევა:** **სკოლამ ან კათედრამ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შეიმუშაოს უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ, რათა მოხდეს პრობლემის დროულად იდენტიფიცირება და გაუმჯობესება.** **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის პედაგოგებთან საუბრისას და გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლაში არსებობს საბუნებისმეტყველო კლას ლაბორატორია, სადაც ძირითადი საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება და მცირე ზომის ოთახი, სადაც საგაკვეთილო პროცესისთვის ხდება მომზადება და ინახება ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის სასწავლო საშუალებები და დიდაქტიკური მასალები, სკოლას საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამისათვის მარტივი აღჭურვილობა, ხელსაწყოები, რეაგენტები, რითაც შესაძლებელია ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის მარტივი ექსპერიმენტების და პრაქტიკულების ჩატარება, ასევე სკოლაში არსებობს სადემონსტრაციო პლაკატები, მულაჟები და სხვა ვიზუალური საშუალებები: არის გამწოვი. **ლაბორატორიაში არ არის სპეციალური ზედაპირით სადემონსტრაციო მაგიდა.** **სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე, სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ვადებში (15/10/2026 – 15/10/2027) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში სპეციალური ზედაპირის მქონე სადემონსტრაციო მაგიდის არსებობა.** **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული საბაზო და საშუალო საფეხურებზე.** **დაწყებით საფეხურზე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრა იყენებს ელექტრონულ რესურსებს, რაც წარმოდგენილია კურიკულუმში.სკოლას აქვს თემატური სასწავლო რუკები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ მოწოდებული შესაბამისი დოკუმენტებიდან და ფოტომასალიდან , ასევე ყველა საგნის მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კურიკულუმით

	გათვალისწინებული საგნობრივი შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა აქტიურად იყენებს შესაბამის მატერიალურ ტექნიკური რესურსებს,მუსიკის სწავლების დროს აქტიურად გამოიყენება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული დამხმარე ელექტრონული რესურსები (მასალები). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კურიკულუმში მკაფიოდ არის განსაზღვრული პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: • *გეომეტრიისა და სივრცითი მოდელირებისათვის:* ტანგრამის ნაკრებები, გეომეტრიული ფიგურების მოდელები და შლილები, სარკეები (ღერძული სიმეტრიისათვის), საძერწი მასალა, ასანთის ღერები, საწრუპები და სათვლელი ჩხირები. • *ზომა-გაზომვების თემატიკისათვის:* საზომი სახაზავები, სასწორები, სხვადასხვა ტევადობის ჭურჭელი. • *ტექნოლოგიური უზრუნველყოფა:* კომპიუტერები/პლანშეტები ინტერნეტთან წვდომით — PhET სიმულაციებისა და Wordwall ინტერაქტიული აქტივობების განსახორციელებლად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლამ წარმოადგინა სურათები სადაც ჩანს: სკოლის დარბაზი , ბურთები , მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა. მოსწავლეები აღჭურვილნი არიან შესაბამისი სპორტული ფორმებით.

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დამხმარე რესურსები არის კათედრის სხდომაზე შეთანხმებული, რესურსი არის ვალიდური და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სწავლის შედეგების მიღწევას ხელს უწყობს მრავალფეროვანი სასწავლო და ციფრული რესურსების გამოყენება, მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობა და პროექტული აქტივობები. მასწავლებელი აქტიურად იყენებს სხადასხვა ციფრულ რესურსს, წარმოდგენილია მოსწავლეთა ნამუშევრები და შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტები. სკოლაში არსებობსისტ-ის ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით, არსებობს ლაბორატორიის სარგებლობის წესიც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო დოკუმენტაციის, ფოტოების შესწავლის და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. **დაწყებითი საფეხურის** მასწავლებლები გაკვეთილებზე იყენებენ ვირტუალური ლაბორატორიების საშუალებებს და ახორციელებენ ვიდეო ექსპერიმენტების ჩანაწერებს, რაც უზრუნველყობს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში დასაქმებულია 32 მასწავლებელი: 1 მენტორი, 1 წამყვანი, 10 მოწვეული და 20 უფროსი მასწავლებელი.

სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებები;
- საშტატო განრიგი
- კურიკულუმები
- კათედრების სხდომების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, პრაქტიკულად, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. სკოლას განსაზღვრული აქვს ინფორმაციის შეგროვების წყაროები, მონაცემთა შეგროვების მეთოდები, შესაბამისი ვადები, პასუხისმგებელი პირები. კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების შედეგად ყოველწლიურად მუშავდება რეკომენდაციები და მათი გათვალისწინების საფუძველზე - კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია, რომელიც მეტად პასუხობს სკოლის და სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესებს, შესაძლებლობებს და გამოწვევებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში ჩანს, თუ როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კათედრებმა წარმოადგინეს ანგარიშები, მონიტორინგის ფორმები, რეფლექსიისა და თვითშეფასების ფორმები, რომლებშიც იკვეთება პრობლემის აღმოჩენა და გადაჭრის გზების დასახვა. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას, მისი მიზანია მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოვლენის გზით. ხარვეზების გამოვლენას მოჰყვება გამოსასწორებელი აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლა, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით, პროცედურული საკითხების მოწესრიგებით, უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევას, მათი შეხედულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით, ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილ საჭიროებებზე რეაგირება ერთერთი საშუალებაა სკოლისათვის, რომ გააუმჯობესოს შედეგები, სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით,მონიტორინგი და შეფასება წარიმართება სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების მიზნით. სკოლის მასწავლებლები მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა მოხდეს მათ მიერ განხორციელებული სწავლის პროცესის ანალიზი, რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა აცხადებს მზაობას, მონიტორინგი და შეფასება გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდასაჭერად. სკოლაში დანერგილია კრიტიკული მეგობრის პრაქტიკა, იკვეთება პედაგოგთა ღიაობა და მზაობა მიიღონ რჩევები და მითითებები მათივე პედაგოგიური პრაქტიკის დახვეწის მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგია;
2. კათედრების სხდომების ოქმები და ანგარიშები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. გამოყენებულია სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანალიზი, რეფლექსიების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, ასევე, მშობლების/მოსწავლეთა მხრიდან მოცემული უკუკავშირი. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, თუ როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესი გეგმის შესაბამისად და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სასწავლო პროცესის /კურიკულუმის შეფასებას ახორციელებს დირექცია, საგნობრივი კათედრები, ხარისხის მართვის მენეჯერი, სკოლის მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები. დანერგილია გაკვეთილზე ურთიერთდასწრებისა და ურთიერთდაკვირვების პრაქტიკა. პედაგოგები აკეთებენ თვითშეფასებას და სამუშაო შეხვედრებზე განიხილავენ ერთმანეთის შედეგებს. შემუშავებულია კონკრეტული რუბრიკები. დროგამოშვებით კეთდება მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვა. დამზადებულია ელექტრონული კითხვარები, ჩატარებულია კვლევები/გამოკითხვები. რაც მეტი ობიექტურობისა და მონაცემების შენახვის შესაძლებლობას იძლევა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში დანერგილია მშობლებთან შეხვედრებისა და საჭიროებების განხილვის პრაქტიკა. მსგავს შეხვედრებზე აქცენტი კეთდება ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებზე, როგორებიცაა სასკოლო სივრცე, გარემო, დამოკიდებულებები. ჩატარებულია ელექტრონული ფორმით გამოკითხვები სასკოლო ცხოვრების შეფასების მიზნით, რომლებშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოება და თემი, რათა შეფასებისას გათვალისწინებული იქნას ყველა კონტექსტი და მიმართულება.

შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით: საგაკვეთილო პროცესი, კლუბური მუშაობა, აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სკოლაში გამოიყენება ასევე კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები (მაგ. ესე, პროექტის მომზადება, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა და გამოფენის ექსპოზიცია, მოთხრობის შედგენა და სხვ.) ამგვარი დავალების შეფასებისათვის პედაგოგებს შემუშავებული აქვთ შეფასების რუბრიკები(განმავითარებელი/განმსაზღვრელი), რომლებიც გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგიდან. მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას ვეყრდნობით სხვადასხვა გარემოდან მიღებული მონაცემებს, მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენებისა და თანაკლასელების უკუკავშირი **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლა სასწავლო პროცესების შეფასების ზეპირი გამოგკითხვის, გასაუბრებება-ინტერვიურებისა და ელექტრონული გამოკითხვის მეთოდებს იყენებს. მშობლებთან შეხვედრებზე განიხილება პრობლემური საკითხები. ხდება აღნიშნული მონაცემების გაანალიზება. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, ავსებენ შეფასების, ურთიერთშეფასებისა და თვითრეფლექსიის ფორმებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულიას**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასება ხორციელდება სკოლის ხარისხის პოლიტიკით გათვალისწინებული პროცედურებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები და მონაცემები, როგორებიცაა : მოსწავლეთა ინტერვიურების შედეგები, მშობელთა გამოკითხვის შედეგები, კოლეგების ურთიერთდასწრებისა და საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვების შედეგები, რასაც სასწავლო წლის ბოლოს განიხილავენ კათედრებზე და სკოლის ადმინისტრაცია კი ანალიზისას გამოკვეთილ საჭიროებებს გამოიყენებს მომავალი სასწავლო წლის დასაგეგმად.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. კურიკულუმის განვითარების დოკუმენტი;
2. შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. კათედრების სხდომის ოქმები;
5. პედსაბჭოს ოქმები;
6. დირექტორის, დირექტორის მოადგილის ანგარიშები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს შიდა მონიტორინგის სისტემას, რომელიც მოიცავს ოთხ ეტაპიან ციკლს (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე). განვითარების ეტაპი გულისხმობს ნაკლოვანებების მიზეზების განსაზღვრას და მათი აღმოფხვრისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ხარისხის პოლიტიკის საფუძველზე, მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, გაკვეთილზე დასწრების გზით. მასწავლებლების მიმართ გაცემული განმავითარებელი უკუკავშირი, ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას სასწავლო პროცესის საჭიროებებზე, რომელიც გავლენას ახდენს კურიკულუმის შემუშავების პროცესზე და გათვალისწინებულია საგნობრივი კათედრის დონეზე. მასწავლებლები, კათედრის სხდომაზე განიხილავენ ურთიერთდასწრების გაკვეთილებს. ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს, რომელიც ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერისთვის. სკოლაში, კათედრების დონეზე ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლის დროსაც საგნობრივი ჯგუფების მიხედვით გაანალიზდება კურიკულუმის დანერგვის

პროცესი და გამოვლენილ ხარვეზებთან მიმართებაში მასწავლებელი შეიმუშავებს რეკომენდაციებს. სკოლა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მუდმივად იღებს რეკომენდაციებს. მასწავლებლები ესწრებიან ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს. მიღებული გამოცდილებისა და დაკვირვების საფუძველზე სკოლა ეტაპობრივად ახორციელებს კურიკულუმის რევიზიას, რომლითაც იქმნება სკოლის კურიკულუმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის გადამუშავება მიმდინარეობს კათედრებზე, ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლა შეფასების შედეგებს გამოიყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. იმისთვის, რომ ეს ცვლილებები იყოს შედეგიანი და რეალურად გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი, მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებს ხარისხის მართვისა და სასწავლო პროცესის მენეჯერი. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის კათედრებზე განხილული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მიგნებები: კერძოდ, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის მიზნით დაგეგმილი აქტივობებიდან რომელმა გაამართლა/არ გაამართლა, რა იყო ამის მიზეზი. მასწავლებლები აკეთებენ რეფლექსიას წინა წლის კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია მომდევნო წლის კურიკულუმის დაგეგმვის დროს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. ვერიფიკაციის მექანიზმი;
3. კათედრის სხდომების ოქმები;
4. სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

22.10.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: გიორგი მომცელიძე

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: თამთა კვარაცხელია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: მანანა სამხარაძე

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: ნინო გავა

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი: ქეთევან ბერუაშვილი

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი: ეკა ბარნაბიშვილი

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი: ელიზა კუკავა

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი: ლელა კვირტია

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი: ნონა გორგილაძე

სპორტის საგნობრივი ექსპერტი: ვლადიმირ უშიკიშვილი

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი: ხათუნა ბენდელიანი